საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

[illegible] № 159 (705) პარასკევი, 23 ივლისი, 1993 წელი ფასი 20 კუპონი.

წუხელ შეგვატყობინეს

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 21 ივლისს 13 საათსა და 35 წუთზე მოწინააღმდეგის სუ-25 ტიპის თვითმფრინავმა რაკეტები ესროლა ჩვენს პოზიციებს ოჩამჩირის რაიონში.

17 საათისათვის ნეიტრალური ზონიდან შემოსულმა გემმა სამგზავრო თვითმფრინავს, რომელიც თბილისიდან სოხუმში მოფრინავდა, ესროლა სითბური რაკეტა, თვითმფრინავს ერთი ძრავა დაუზიანდა, მაგრამ ეკიპაჟმა მოახერხა დაზიანებული თვითმფრინავის დასმა.

20 საათისათვის სამხედრო თვითმფრინავმა სოფელ ბაბუშერაში დაბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა, რის შედეგადაც დაიღუპა 6 მოქალაქე. მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი და ორი ქალი.

22 ივლისს დილიდან ფრონტის სხვადასხვა მონაკვეთებზე გრძელდებოდა პოზიციური ბრძოლები.

დღეს სოხუმში ჩავიდა სანდრო კავსაძე. 18.00 საათისათვის დანიშნულია ბრიფინგი ჟურნალისტებთან, რომლებსაც გააცნობენ მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგებს. ბრიფინგში მონაწილეობას მიიღებენ ს. კავსაძე და უ. შარტავა.

ირმა გოგმაჩია

სოხუმის საქართველოს სამხედრო სარდლობის შტაბის პრესცენტრიდან საქინფორმის კორესპონდენტს ბუთხუზ ხალაშის 21 საათზე შეატყობინეს, რომ 22 ივლისს დილით აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა შეიარაღებული ფორმირებები და მათი მხარდამჭერი ძალები შეეცადნენ იერიში მიეტანათ ქართველთა პოზიციებზე სოხუმის რაიონის სოფელ ზეგანთან, სადაც მდებარეობს სტრატეგიული სამხედრო მაღლობები.

გარკვეული დროით მათ შეძლეს კონტროლი დაეწესებინათ ამ მაღლობების ნაწილზე სოფელ ზეგანთან, მაგრამ საღამოსათვის ქართველთა შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს გაძლიერებული კონტრშეტევა და საწყის პოზიციებზე დააბრუნეს აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა ფორმირებები. ქართველთა ძალები აკონტროლებენ სოფელ ზეგანის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს და ამ მაღლობებს.

სროლა და პოზიციური ბრძოლები საღამოს გრძელდებოდა. ქართველი მებრძოლები წმენდნენ ტერიტორიას.

●

მიტინგი ვაკის პარკში

22 ივლისს თბილისის ვაკის პარკში გაიმართა საქართველოს ექსპრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მომხრეთა მიტინგი. აქ შეიკრიბა ხუთასამდე კაცი. ორატორებმა გააცნეს დამსწრეთ აფხაზეთში არსებული ვითარება, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის მხრივ ქართველი ხალხის გენოციდისაგან ერთადერთი გზა მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის კონსოლიდაციაა. ილაპარაკეს იმაზე, რომ უნდა დაბრუნდეს უწინდელი კანონიერი ხელისუფლება. ორატორთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მოუწოდეს ადამიანებს მოაწყონ მასობრივი გაფიცვები სახელმწიფოს ახლანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ჭამა ჭონებაზე აკიდია, ჭონება – მუხლჩაუხრელ შრომაზე



კრეფენ ოჩხამურელი მეჩაიეები

წარმატებით დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მშრომელებმა. ამ პროდუქციას რესპუბლიკის ეკონომიკაში სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ოჩხამურელმა მეჩაიეებმა სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს გამოიყენონ მთელი არსებული რეზერვები და ამ სეზონში მოკრიფონ სულ ცოტა სამი ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ნომერ 4 ბრიგადის კოლექტივი, რომელსაც მაგული ბერიძე ხელმძღვანელობს. მის ანგარიშზეა უკვე 80 ტონა ჩაის ფოთოლი. სეზონის დამლევამდე გადასამუშავებლად ჩააბარებენ 230 ტონაზე მეტ ნედლეულს.

სურათზე: ოჩხამურის ჩაის პლანტაციებში.

პლანტაციებიდან – ფაბრიკაში, დაუყოვნებლივ

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის ყოფილი მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა აგროკომბინატი. მის გამგებლობაში გადავიდა ჩაის პლანტაციები და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკა. მოკრეფილ ნედლეულს მაშინვე, დაუყოვნებლივ გადასამუშავებლად გზავნიან.

წლეულს აგროკომბინატის კოლექტივი მოკრეფს და გადაამუშავებს სამი ათას ტონა ჩაის ფოთოლს.

სურათზე: 100 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს კრეფს ყოველდღე ნათელა დიასამიძე.

ზია სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

იხილავენ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს

დღის წესრიგის ამ საკითხების განხილვას — საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკის ბიუჯეტისა და საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ — კარგა ხანია ელოდებიან არა მარტო კანონშემოქმედნი, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობა. რადგან ჩვენი ქვეყნისათვის ამ ურთულეს პერიოდში მათ სწორ გადაწყვეტას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც პარლამენტის ამ სხდომაზე მოწვეული იყო რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა.

22 ივლისის საქართველოს პარლამენტის სხდომა ყოველგვარი წინასწარი დებატებისა და განცხადებების გარეშე შეუდგა ამ მეტად აქტუალური საკითხების მოსმენას. მოხსენება რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ გააკეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა.

ამ ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გარშემო იყო საუბარი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თემურ ბასილიას, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერების ზურაბ კერვალიშვილისა და რომან გოცირიძის, ეკონომიკის მინისტრის მიხეილ ჯიბუტისა და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას გამოსვლებში. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო ღრმავდება, მინიმუმამდეც კი ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება საარსებოდ საჭირო პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე. მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე, რომელსაც სულ უფრო აღრმავებს შეუჩერებელი ინფლაციური პროცესები. ამ ვითარებაში აუცილებელია ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას ჩიხიდან გამოვიდეს, დაიწყოს ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი, რეფორმების განხორციელება. სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსების ყველა უბანსა და სფეროში შექმნილი ურთულესი კრიზისული მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყოვლისმომცველ და არაორდინარულ ღონისძიებებს. მათ უნდა უზრუნველყონ სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქმედუნარიანობის გააქტიურების და პასუხისმგებლობის გაძლიერება, შესაბამისი დარგისა და რეგიონის ფინანსური ბაზის განმტკიცება, ჩამორჩენის ტენდენციების შეჩერება, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაცია, ყოველგვარი რესურსების გამოყენებისა და მუშაობის ყველა უბანზე მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელება. ყველა ეს ღონისძიება დადებით როლს შეასრულებს ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებაში, და, ბოლოს, ბიუჯეტის შემოსავლის განუხრელი ზრდის საქმეში.

როგორც მოსალოდნელი იყო მოხსენებებმა და გამოსვლებმა პარლამენტართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სპიკერის ვახტანგ გოგუაძის თხოვნა, რომ ადგილებიდან არ მიეცათ შეკითხვები მომხსენებლებისათვის გამოსვლის დროს, როგორც არასდროს, ამჯერად ზუსტად შესრულდა. სამაგიეროდ სპიკერატის მაგიდაზე წერილობითი შეკითხვების მთელი წყება მოდიოდა.

შესვენების შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ მოსმენილი მოხსენებების განხილვას.

სხდომაზე გამოვიდა პარლამენტის წევრი ირინე სარიშვილი. მან წაიკითხა პარლამენტის წევრთა განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ საპარლამენტო ფრაქციები „ეროვნული დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“, „დემოკრატები“, „ალიანსი ლიბერალური რეფორმებისათვის“ (ფრაქციები — „ლიბერალები“ და „მწვანეები“), ჯგუფი „სახალხო ფრონტი“ და დამოუკიდებელ პარლამენტართა ჯგუფი.

განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში „გამოაშკარავდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის უმწეობა და უუნარობა მიიღოს გადამჭრელი ზომები ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. გაჩერებულია წარმოება, არ იძვრის ეკონომიკური რეფორმა, ვერ მოხერხდა მართლწესრიგისა და კანონიერების დამკვიდრება. რეალურად ვერ განხორციელდა საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლი მეომრების ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფა. არ წარმოებს ბრძოლა კორუფციასთან, რომელიც სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს და რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოსა და ერის არსებობას“. ყოველივე ამის გამო განცხადების ავტორები უნდობლობას უცხადებენ მინისტრთა კაბინეტს და მის ხელმძღვანელობას და მოითხოვენ მათ გადადგომას.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი, შემდეგ ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა უპასუხა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

23 ივლისს პარლამენტის სხდომა მუშაობას გააგრძელებს.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი აჭარაში

ბათუმი. 22 ივლისი. დღეს აქ ჩამოვიდა რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი. ბათუმის აეროპორტში სტუმარს დახვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

მათ შორის გაიმართა საუბარი, რომლის შემდეგ ბატონმა ბ. პასტუხოვმა ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს.

— ჩვენი მისია ამ დღეებში ის არის, — თქვა მან, — რომ ბოლომდე შევასრულოთ რუსეთის, როგორც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შუამავლის როლი. უნდა გამოვძებნოთ ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული დაძაბულობის შენელების გზები. მარტო მოსკოვის ან თბილისის კაბინეტებიდან შეუძლებელია ჩასწვდე მიმდინარე მოვლენების არსს. ამიტომაც ვცდილობთ ჩავიდეთ სხვადასხვა რეგიონში, მოვაწყოთ შეხვედრები, შევადაროთ სხვადასხვა თვალსაზრისი. თავი მოვუყაროთ რუსეთის მთელ ჯანსაღ ძალებს, საქართველოს მშვიდობისმოყვარეობის მთელ პოტენციალს, რათა გადავჭრათ რეგიონული კონფლიქტები.

არ დავფარავ, რომ იმისთვის ჩამოვედით აჭარაში, რათა ვნახოთ, თუ რატომ არის საქართველოს ეს რეგიონი უფრო სტაბილური, მყარი. გვინდა ვნახოთ ისიც, როგორ გრძნობენ თავს ისინი, ვინც აქ წარმოადგენს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს. აქ, ალბათ, არის ერთმანეთისადმი კეთილმოსურნეობის ფენომენი, რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენთვის.

ახლა ყველაზე მთავარია შეწყდეს ომი, მმათაკვლა, რაც დიდ ზიანს აყენებს საქართველოსაც და რუსეთსაც. ჩიხიდან უნდა გამოვიყვანოთ რუსეთ-საქართველოს ის შესანიშნავი ურთიერთობა, რაც მათ ყოველთვის ახასიათებდათ.

სულ ახლახან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების მეთაურებთან სოჭში გამართულ შეხვედრაზე გამოაქვეყნა რუსეთის კონცეფცია კავკასიის მიმართ. იქ მკაფიოდ არის გამოხატული აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთს სჭირდება კეთილი ურთიერთობა საქართველოსთან, და საქართველოსაც ასეთივე ურთიერთობა სჭირდება რუსეთთან.

აჭარაში იმისთვის კი არ ჩამოვედი, რომ გამოვკვეთო რაღაც რუსეთ-აჭარის ურთიერთობა. ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით საქართველოს მთლიანობისა, რუსეთ-საქართველოს კეთილი ურთიერთობისა.

ამასთანავე, ბ. პასტუხოვის აზრით, ბათუმში შეიძლება გაიხსნას რუსეთის გენერალური საკონსულო.

ნომერში

● დირექცია ახერხებს, რომ მუშები შიმშილით არ დაიხოცონ. 3

● ჩვენი ახალგაზრდები – საერთაშორისო ასპარეზზე. 4

დაზუსტებულია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პროექტის ტექსტი

ოთხშაბათს გვიან საღამოს შედგა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ბორის პასტუხოვთან. შეხვედრაზე საბოლოოდ დაზუსტდა კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პროექტის ტექსტი, რომელიც სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შეიძლება განსახილველად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

— მაგრამ მანამდე, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში, — აუცილებლად მიმაჩნია, რომ ამ პროექტს გაეცნონ და დასტური მოგვცენ სოხუმელებმა. ისინი უფრო მძაფრად აღიქვამენ საერთო ვითარებას, ამიტომ მათი აზრი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. 22 ივლისს პროექტის ტექსტს განიხილავენ აფხაზეთის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივ სხდომაზე. თანხმობის მიღების შემთხვევაში, მოვიწვევთ პარლამენტის საგანგებო სხდომას პროექტის განსახილველად.

შევარდნაძის აზრით, პროექტზე მუშაობა რთულად მიმდინარეობდა, მაგრამ მთავარია თავიდან ავიცილოთ სისხლისღვრა, ახალი მსხვერპლი.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, რუსეთის მხრიდან — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, სხვა ოფიციალური პირნი.

საქინფორმი

ეკონომიკური საბჭოს სხდომა

21 ივლისს ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა სახელმწიფოს მეთაურთან შექმნილი საგანგებო ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომა.

მოისმინეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა ილაპარაკა მომზადებული და პარლამენტის განსახილველად გამოსატანი საქართველოს ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრინციპების შესახებ. იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა რეალიზაცია საჭიროა კუპონის, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი საგადამხდელო საშუალების, ფუნქციონირებისათვის, გამოვიდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე.

დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საქართველოს ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი და ავთანდილ მარგიანი, რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, პარლამენტის მუდმივი კომისიათა თავმჯდომარეები, რესპუბლიკის მინისტრები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა აწარმოონ უფრო მოქნილი, შეწონასწორებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაცია. დღევანდელი რეალიები გვაიძულებენ კუპონი გამოვაცხადოთ ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ქვეყანაში, ოფიციალურად დავაფიქსიროთ მისი კურსი, გამოვიყენოთ იგი გარეშე პარტნიორებთან ურთიერთანგარიშსწორების დროს. სხვათა შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის ახალ პროექტში ვალების ყველა მუხლი შედგენილია, ასე ვთქვათ, კუპონური გამოხატულებით.

შეკრებილებმა გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის, კუპონის გაუფასურების პროცესის დამუხრუჭება, მისი კურსის სტაბილიზაცია. ამისათვის საჭიროა წარმოებასა და მომხმარებელს შორის უზარმაზარი დისბალანსის შეცვლის ენერგიული ღონისძიებანი, მაქსიმალური ყურადღება და ხელშეწყობა რეალური საქონელმწარმოებლებისადმი. მათი აზრით, ეკონომიკურ გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს უფრო მოფიქრებული საგადო, საბაჟო პოლიტიკა, გაცვლითი პუნქტების გახსნა.

ზ. ბრძოლიშვილი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საერთაშორისო აქტებთან შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს შემდეგ საერთაშორისო აქტებს:

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო-საზღვაო ძალების რიგებიდან დაჭრილთა, ავადმყოფთა და საზღვაო ავარიების დროს დაზარალებულთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ;

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ;

ჟენევის კონვენციის 1949 წლის 12 აგვისტოს დამატებითი ოქმს საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასაცავად (ოქმი 1);

ჟენევის კონვენციის 1949 წლის 12 აგვისტოს დამატებითი ოქმს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასაცავად (ოქმი 2).

2. ეს ეცნობოს: ა) შვეიცარიის პრეზიდენტს;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს;

გ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1993 წლის 20 ივლისი.

გადაეცა რწმუნების სიგელი

19 ივლისს, ბრიუსელში, ევროგაერთიანებასთან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ბატონმა ზურაბ აბაშიძემ გადასცა რწმუნების სიგელი ევროპული გაერთიანების საბჭოს მდივანს ბატონ რობერტ ურბანს.

პური ტალონებით?

რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომაზე, რომელიც საქართველოს ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, აღინიშნა, რომ უნდა შეიქმნას ფქვილის სამი თვის მარაგი, გადაწყდეს პურის ქარხნების უსაფრთხო საქმიანობის, საწვავით სპეციავტომანქანების უზრუნველყოფის საკითხი, ვიზრუნოთ მაღაზიებში პურის დროული შეტანისათვის. სხდომაზე წინადადება წამოაყენეს პური გაიყიდოს გასტრონომებშიც.

შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის გზად კომისიამ მიიჩნია არა იმდენად მკაცრი ადმინისტრაციული აქციების განხორციელება, რამდენადაც ნაღდი ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედება.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა: სტრატეგია და ტაქტიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას სიტყვა რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე 1993 წლის 22 ივლისს

1. **მთავრობის** ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საქართველოში თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, საქართველოს ეკონომიკური აღორძინება, ეკონომიკური პატრიოტიზმის სრულყოფილი გრძნობის ჩამოყალიბება, სრული პიროვნული, მათ შორის ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად აღიარებულია საქართველოს დამოკიდებული, კოლონიური ეკონომიკური სისტემის ნაცვლად დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელსაც უნარი ექნება უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობა ცივილიზებული ცხოვრებისათვის საჭირო დონით.

საქართველოს ეროვნული, დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა გულისხმობს საქართველოს ერთიან ბაზარს, ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, ავტონომიურ საფინანსო საკრედიტო სისტემას საბაზრო ფორმის დანერგვით.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა აგებულია საბაზრო მოდელზე, რომლის საფუძველია კერძო საკუთრება, საკუთრების უფლება საერთოდ და კერძო მეწარმეობა. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ეკონომიკური ტაქტიკა ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ანარქიიდან გამოსვლა, ეკონომიკური კრიზისის შეჩერება და სიტუაციის სტაბილიზაცია.

2. **საქართველოს** მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით ცდილობს, ერთი მხრივ, გააღრმავოს ეკონომიკური რეფორმა და დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი და მეორე მხრივ განახორციელოს ეკონომიკური წყობის სისტემური გარდაქმნა სახელმწიფოს აქტიური ჩარევითა და ხელშეწყობით.

ეკონომიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებები საშუალო ვადისათვის ჩამოყალიბებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის № 149 და 1993 წლის 4 ივნისის № 448 დადგენილებებში: „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული პროგრამის ეკონომიკური აზროვნების მიღწევის თვალსაზრისს ალტერნატივა არა აქვს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების რაიმე დოკუმენტი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ არ არის მოცემული.

ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის დღეს მთავრობის მცდელობით რეფორმებზე ლაპარაკისა და კონცეპტუალურ საკითხებზე კამათიდან გადავიდა რეალური განხორციელების, კონკრეტული მოქმედების ბაზაზე. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ზემოთ აღნიშნულ პროგრამას მხოლოდ ბოლო ხანს მიაქციეს ყურადღება, რადგან ის შეეხო კონკრეტულ ინტერესებს.

ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულად ამოქმედების მიზნით მიღებულ იქნა № 264 (30 მარტი 1993) დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ“ და № 265 (31 მარტი 1993) „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების ერთიანი წესის შესახებ“. ეკონომიკური წყობის ძირეულ შეცვლას ითვალისწინებს პრივატიზების მთელი პროგრამა და, განსაკუთრებით, მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 288 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“.

მინისტრთა კაბინეტი არაა კმაყოფილი რეფორმის ტემპით. მთავრობამ ვერ შეძლო სტაბილიზაციის პროგრამის აგრეგირების დონის დაყვანა სექტორალურ ეკონომიკამდე, არ შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები, ბოლომდე ვერ დაადგინა ინვესტიციების გამოყენების უმაღლესი სფეროები და საჭიროებანი და სხვ. თუმცა ეს მოღვაწეობის მცირე დროითაც უნდა აიხსნას, ამ მიმართულებით მაინც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. საქართველომ პირველმა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის დაძლია „გეგმოფობია“ და 1993 წლის 10 მაისის № 358 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის შესახებ“ გაშალა მუშაობა 1994 წლიდან ამ სისტემაზე გადასვლისათვის. შერეულ ეკონომიკაში მხოლოდ სახელმწიფო და ბაზრის მარეგულირებელი ძალების ოპტიმალური შეხამებით შეიძლება ცივილიზაციისკენ სვლა.

3. **ეკონომიკური** რეფორმების, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შემაფერხებელი მთავრობისგან დამოუკიდებელი ფაქტორებიდან უპირველესია ის ექსტრემალური საზოგადოებრივი სიტუაცია, რომელიც ბატონობს სოციალურ გარემოში. ომი, ეკონომიკური კრიზისი, სამართლებრივი ნიჰილიზმი, ეკოლოგიური და ზნეობრივი კრიზისი და სხვა არ იძლევა ეკონომიკური რეფორმაციის სრულ შესაძლებლობას.

არ შეიქმნა ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის სრულფასოვანი, სისტემაში მოყვანილი სამართლებრივი ბაზა. ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და ნებისმიერი პროგრამის უზრუნველყოფის უპირველესი პირობა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ-იდეოლოგიური სტაბილიზაციაა, მაგრამ ამასთან ერთად ეკონომიკური სისტემის გარდაქმნისათვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნა. ეკონომიკური რეფორმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი რეფორმით. ყველაზე დიდი ამოცანაა, რომ საქმიან ინიციატივას მიეცეს გზა, შეიქმნას კონკრეტული გარემო, განვითარდეს საბაზრო ძალები და ინვესტორებს მიეცეთ რწმენა საქართველოში საქმის წარმოებისათვის. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივი ინფრასტრუქტურის პირობებში შეუძლებელია სწრაფი ტრანსფორმაციის განხორციელება, შედეგების სწრაფი მიღება. რის შესახებაა ლაპარაკი? საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად საჭიროა ცხრა დიდი ბლოკის საკანონმდებლო აქტების მიღება. ესაა: 1. კანონმდებლობა საკუთრების, იჯარის, გირაოს, ინტელექტუალური საკუთრების, პრივატიზაციის შესახებ; 2. კანონები უცხოური ინვესტიციებისა და კონცესიების შესახებ, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესების შესახებ (მათ შორის უცხოური სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები), საერთაშორისო კერძო სამართა-

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საკუთრების უფლების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლება წესრიგდება კონსტიტუციით (ძირითადი კანონით), სამოქალაქო სამართლის კოდექსით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების უფლების შესახებ ადგენს საკუთრებითი ურთიერთობის წარმოშობის, განხორციელების, დაცვისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 1. საკუთრების უფლების საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლრობის და განკარგვის უფლებამოსილებანი.

მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირს; მოახდინოს თავისი ქონების მიმართ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება; გადასცეს თავისი ქონება სხვა პირის საკუთრებაში; გამოიყენოს თავისი ქონება სამეურნეო და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობისთვის.

საქართველოს რესპუბლიკაში ქონების საკუთრების უფლებას, მესაკუთრის ადგილსამყოფელის მიუხედავად, იცავს კანონი. კანონი იცავს აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების, იურიდიული პირების და სახელმწიფოს საკუთრებას საზღვარგარეთ.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირობებსა და ფარგლებში მესაკუთრეს შეიძლება დაეკისროს მისი ქონების სხვა პირთა მიერ შეზღუდული გამოყენების მოვალეობა.

მესაკუთრეს აკისრია მისი კუთვნილი ქონების შემთხვევითი მოსპობის ან გაფუჭების რისკი.

მესაკუთრისგან საკუთრების უფლების განხორციელება ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს, არ უნდა ლახავდეს მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა და სახელმწიფოს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

საკუთრების უფლების განხორციელების შედეგად სხვა პირთა კანონით დაცული ინტერესების შელახვა და ამით მიყენებული ზარალი მესაკუთრემ სრულად უნდა აანაზღაუროს.

მუხლი 2. საკუთრების უფლების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების ობიექტებია: მიწა და მისი წიაღი, წყლები, კონტინენტური შელფის რესურსები, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება.

მესაკუთრის ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, წარმოებული პროდუქცია, ნაყოფი და სხვა შემოსავალი ეკუთვნის მესაკუთრეს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით ან ხელშეკრულებით.

მუხლი 3. საკუთრების უფლების სუბიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების სუბიექტები (მესაკუთრენი) არიან საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები და სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება არსებობდეს უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა საკუთრება, რომელზეც ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველო მონაწილეობს.

საქართველოს რესპუბლიკაში ქონება შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში.

დაშვებულია კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანება და ამ საფუძველზე შერეული საკუთრების შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორია, დაცულია კანონით და ხელშეუხებელია.

მუხლი 4. საერთო საკუთრების უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში ქონება ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ან რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაში, თითოეული პირის წილის განსაზღვრით (წილობრივი საკუთრება) ან წილის განუსაზღვრელად (საზიარო საკუთრება).

საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება ყველა მესაკუთრის შეთანხმებით, ხოლო მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში — სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილეს აქვს თავისი წილის გამოყოფის, ხოლო თანამესაკუთრეს — თავისი წილის განსაზღვრისა და გამოყოფის უფლება, წილის განსაზღვრისა და გამოყოფის წესი დგინდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საერთო საკუთრების წილის გარეშე პირისთვის მიყიდვის შემთხვევაში საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებს გასაყიდი წილის ყიდვის უპირატესი უფლება აქვთ კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 5. მიწის საკუთრების უფლება

ცალკეულ მესაკუთრეთა მიწის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება წესრიგდება მიწის კანონმდებლობით.

მუხლი 6. საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა

მესაკუთრეს საკუთრების უფლება წარმოეშვება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით შეძენილ ქონებაზე, შექმნილ ან არსებითად გადამუშავებულ ნივთზე, თავისი კუთვნილი ქონების, ბუნებრივი რესურსების ან კანონის და ხელშეკრულების შესაბამისად ამ მიზნით მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული სხვა ქონების გამოყენების შედეგად მიღებულ პროდუქციაზე, ნაყოფზე და სხვა შემოსავალზე.

ქონების შემძენისთვის საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ სათანადო რეგისტრაციის შემდეგ კეთილსინდისიერად და ღიად, როგორც მესაკუთრე, ფლობს უძრავ ქონებას უწყვეტად სულ ცოტა თხუთმეტი წლის ან სხვა ქონებას ხუთი წლის განმავლობაში, იძენს ამ ქონების საკუთრების უფლებას.

საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდება მესაკუთრის მიერ საკუთრების ობიექტის გასხვისების, აგრეთვე საკუთრების ობიექტის მოსპობის შედეგად.

კერძო, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) საკუთრებაში არსებული კანონიერი გზით შეძენილი ქონება, რომელიც კანონის შესაბამისად არ შეიძლება ეკუთვნოდეს მესაკუთრეს, ექვემდებარება გასხვისებას ერთი წლის განმავლობაში, თუ სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, თუ მესაკუთრე აღნიშნულ ვადაში არ გაასხვისებს ამ ქონებას, სასამართლოს გადაწყვეტილებით ის დაექვემდებარება იძულებით გასხვისებას მესაკუთრისთვის ქონების ღირებულების ანაზღაურებით და გასხვისების ხარჯების გამოკლებით.

სტიქიური უბედურების, ავარიების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების და სხვა საგანგებო შემთხვევებში, სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესების გამო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით, მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება და აუნაზღაურდეს მისი ღირებულება (რეკვიზიცია).

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით, მესაკუთრეს ჩადენილი დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის გამო სანქციის სახით შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი ქონება (კონფისკაცია).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით, მესაკუთრეს შეიძლება დროებით ჩამოერთვას და აეკრძალოს ან შეეზღუდოს სადავო ქონების განკარგვა (სეკვესტრი).

მესაკუთრის კუთვნილი ქონების მიმართ იძულებითი გასხვისების, რეკვიზიციის, კონფისკაციისა და სეკვესტრის კონკრეტული პირობების გამოყენების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 7. გადახდევინება მესაკუთრის ქონებიდან

მოქალაქე პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისთვის მის საკუთრებაში არსებული ქონებით. იმ ქონების ნუსხა, რომელზეც კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად არ შეიძლება გადახდევინება მესაკუთრის ქონებიდან, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

იურიდიული პირი თავის ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს მის საკუთრებაში არსებული მთელი ქონებით.

მესაკუთრე ან იურიდიული პირის დამფუძნებელი პასუხს არ აგებს მის მიერ შექმნილი იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის, ხოლო იურიდიული პირი პასუხს არ აგებს მესაკუთრის ან დამფუძნებლის ვალდებულებებისთვის თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით და იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებით.

II. კერძო საკუთრების უფლება

ა) მოქალაქის საკუთრების უფლება

მუხლი 8. მოქალაქის საკუთრების უფლების შეძენა

მოქალაქის საკუთრება წარმოიშვება კანონით ნებადართული ყველა საქმიანობით და მისი ანაზღაურებით, მემკვიდრეობით და კანონით დაშვებული სხვა გზებით.

მუხლი 9. მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტები

მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს.

მოქალაქის საკუთრების უფლების ობიექტების რაოდენობრივი და სახეობრივი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ბ) იურიდიული პირების საკუთრების უფლება

მუხლი 10. იურიდიული პირების საკუთრების უფლების შეძენა

იურიდიული პირების საკუთრება წარმოიშვება მონაწილეთა წილით, იურიდიული პირის სამეურნეო და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული და შეძენილი ქონებით.

მუხლი 11. იურიდიული პირების საკუთრების უფლების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში იურიდიული პირების საკუთრების უფლების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება.

III. სახელმწიფო საკუთრების უფლება

მუხლი 12. ზოგადი დებულებანი სახელმწიფო საკუთრების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება, რომელსაც მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი ორგანოები ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო საკუთრების უფლების ობიექტები

სახელმწიფო საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, სახელმწიფოს განუყოფელი სუვერენიტეტი აქვს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე — თავისუფლად განკარგოს საკუთარი რესურსები თავისი პოლიტიკის შესაბამისად და სხვა სახელმწიფოებსაც პატივი აცემინოს ამ უფლებისათვის.

ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისა და დაცვის წესს განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა.

სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებია განსაკუთრებული მნიშვნელობის მიწა და მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლების, აგრეთვე კონტინენტური შელფის და საზღვაო ეკონომიკური ზონის რესურსები, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლები, სახელმწიფო ხაზინის ფასეულობები, სახელმწიფო ბანკები, სახელმწიფო საპენსიო, სადაზღვევო და სხვა ფონდები, შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების და სამართალდამცავი ორგანოების და სხვა ქონება, რომლის საერთო ნუსხა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება.

მუხლი 14. სახელმწიფო საკუთრების უფლების სახეობანი

სახელმწიფო საკუთრების უფლების სახეობანია:

რესპუბლიკური საკუთრება;

ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება;

ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება.

საკუთრების ობიექტების ნუსხა საკუთრების უფლების ცალკეულ სახეობათა მიხედვით შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება.

IV. საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრების უფლება

მუხლი 15. ზოგადი დებულებანი საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრების უფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაა კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება.

მუხლი 16. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საკუთრების უფლება

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ შორის მოძრაობებს, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, რომლებიც საჭიროა მათი საწესდებო მიზნების განხორციელებისთვის და იქმნება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, საზოგადოებრივი, პოლიტიკური გაერთიანებებისა და ფონდების სახსრების ხარჯზე, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება. პოლიტიკური გაერთიანების საკუთრებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც არ არის აკრძალული პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ამ ორგანიზაციების წესდებით გათვალისწინებული წესით ნაწილდება.

მუხლი 17. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრების უფლება

რელიგიურ ორგანიზაციებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, რომლებიც საჭიროა საეკლესიო, სამონასტრო და სარწმუნოებრივი საქმიანობისათვის, მათ შორის ნაგებობა, საკულტო საგანი, საწარმო, რომლებიც მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინეს და შექმნეს საკუთარი სახსრებით ან შემოწირულობების სახით გადასცეს მოქალაქეებმა ან იურიდიულმა პირებმა, ან გადასცა სახელმწიფომ, ან შეიძინეს კანონით გათვალისწინებული სხვა წესით გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება.

V. უცხო სახელმწიფოთა, უცხოელთა, უცხოელ იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრების უფლება

მუხლი 18. უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრების უფლება

უცხო სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება ჰქონდეთ საკუთრება, რომლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, აგრეთვე სათანადო ხელშეკრულებებით განისაზღვრება.

მუხლი 19. უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება

უცხოელებს და უცხოელ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში იქონიონ ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლების ობიექტებს განეკუთვნება.

მუხლი 20. საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა საკუთრება საზღვარგარეთ

საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ პირებს და მოქალაქეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საზღვარგარეთ საკუთრება, რომლის მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებანი შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებებით განისაზღვრება.

VI. საკუთრების უფლების დაცვა

მუხლი 21. საკუთრების უფლების დაცვის ძირითადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების დაცვის გარანტია სახელმწიფო.

მესაკუთრეს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან.

მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების ყოველგვარი დარღვევის აღკვეთა, თუნდაც ეს დარღვევები დაკავშირებული არ იყოს მფლობელობის ჩამორთმევასთან.

მუხლი 22. მესაკუთრის ინტერესების დაცვა კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მისი უფლებების შეწყვეტის დროს

ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილება მესაკუთრის უფლების შეწყვეტის შესახებ, თუ მას მესაკუთრე არ ეთანხმება, ძალაში ვერ შევა სასამართლო გადაწყვეტილებამდე. დავის განხილვის დროს წყდება აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

მუხლი 23. მესაკუთრის უფლებების დამრღვევი აქტების ბათილობა

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტები, რომლებითაც ირღვევა მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის უფლებები ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან განკარგვის სფეროში, სასამართლო წესით ბათილდება უფლებაშელახული მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის სარჩელის საფუძველზე.

ამ შემთხვევაში მესაკუთრისთვის ან მასთან გათანაბრებული პირისთვის მიყენებულ ზარალს მთლიანად ასეთი აქტის გამომცემი ორგანო ანაზღაურებს.

მუხლი 24. სხვა სანივთო უფლებები

მესაკუთრის შეხედულებისამებრ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება შეიძლება გადაცემული ჰქონდეს სხვა პირს, რომელიც ამ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით ან ქონების მესაკუთრისგან განსაზღვრულ ფარგლებში.

იმ პირთა უფლებები და ინტერესები, რომლებიც განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებენ მესაკუთრის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფილია იმავე გარანტიებით, როგორც მესაკუთრისა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი,
1993 წლის 15 ივლისი.

მოსავალი-93

არ გიღალატებთ!..

გასულ შაბათს ერთი უჩვეულო რამ მოხდა თბილისში. [illegible] დანატრებულმა თბილისელებმა, რომ იტყვიან, ალყაში მოიმწყვდიეს მარნეულიდან შემოსული ახალი კარტოფილით დატვირთული მანქანები... ზოგმა ფასით წაიღო, ზოგმა უფასოდ... ერთი სიტყვით, იყო ერთი ორომტრიალი, ცოდვის ტირილი. კიდევ კარგი, ეს „საკარტოფილე ბუმი" ცოტა ხანს გაგრძელდა თორემ, რა ვიცით, რა შეიძლება მომხდარიყო.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა იმ დღის მომხდარით შეწუხებული და გაკვირვებული მარნეულელთა თავკაცი, ჩვენი მეგობარი ნოდარ მუმლაძე, დასამშვიდებლად რომ მიმართავდა თბილისელებს: — არ ინაღვლოთ, ხალხო, თქვენ კარგად იყავით, ყოველ შაბათ-კვირას კარტოფილსა და სხვა ბოსტნეულს არ მოგაკლებთო.

მოთმინებასა და ვაჟკაცობას ვერ დაუწუნებთ ნოდარს. ზოგჯერ გიკვირს კიდეც კაცს, როგორ ასწრებს ამდენს. ხან ავტომატმომარჯვებული გუმისთის ნაპირებიდან გვესაუბრება ტელევიზიით, ხან მარნეულის მინდვრებიდან, ხან კიდევ თბილისის სპორტის სასახლის წინა მოედნიდან.

— გული მომიკვდაო იმ დღეს, — მითხრა შეხვედრისთანავე, ისიც თქვა — გუშინ გვიან ღამით სახელმწიფოს მეთაურმა დაგვიბარა რაიონების გამგებლები, საწარმოთა შტაბის ხელმძღვანელები... ვიმსჯელეთ, გადავწყვიტეთ — ახლა აქ მარნეულში თბილისიდან სპეციალურად მომაგრებული კაცი გვეყოლება, რომელიც ორგანიზაციასა და კოორდინაციას გაუწევს დედაქალაქის მომარაგებას კარტოფილით და სხვა პროდუქტებით.

სახელმწიფოს მეთაურს პირობა მივეცით, რომ ყოველდღიურად 400 ტონა კარტოფილი შევიტანოთ დედაქალაქის მაღაზიებში, შესასყიდი ფასიც დავადგინეთ — 700 კუპონი. მალე ხახვის შემოტანასაც დავიწყებთ, შემდეგ წამოვა ბადრიჯანი, პამიდორი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეულიც. რაც ცოტა შვებას მისცემს თბილისსაც და სხვა ქალაქებსაც.

სახელმწიფო მეთაურის დავალებით საწვავით უზრუნველყოფას შეგვპირდა „საქნავთობპროდუქტების" კონცერნი. ახლა ეს არის ჩვენთვის მთავარი და გადამწყვეტი, თორემ ჩვენს ხალხს წინ არაფერი უდგას... დილიდან საღამომდე ყველანი მინდორში არიან გასული და მოსავალს იწევენ.

მარტო მარნეულელები 6 ათას ხუთას ტონა კარტოფილს, 17 ათას ტონა პამიდორს, დიდი რაოდენობის ბადრიჯანს, ხახვს, კომბოსტოს გვპირდებიან თბილისელებს.

განსაკუთრებულად ილეწიან აქაურები აფხაზეთში პროდუქციის გასაგზავნად. მარნეულში ჩემი ყოფნის დროს ბატონ ნოდართან შევხვდი აფხაზეთის მომარაგების სამსახურების ხელმძღვანელებს, რომლებიც თავად აკონტროლებენ სოხუმში გასაგზავნი პროდუქციის დატვირთვასა და დროულად გაგზავნას. ამ მხრივ, როგორც იტყვიან, გამართულად მუშაობს ყველა. დროულად მოდის სარკინიგზო სექციები, ვაგონები, რომლებიც დროულად იტვირთება. ერთი ეს არის, ამ დღეებში საგრძნობლად დაცხა, შრომა გაძნელდა, მაგრამ ვინ დაგიდევთ ამას — ყველამ კარგად იცის, რომ ამ საქმეს დაყოვნება არ უხდება. მარნეულში რომ ჩავედი, 124 ტონა კარტოფილი უკვე გაგზავნილი იყო აფხაზეთში, ახალი სექცია კი იტვირთებოდა.

რომ იტყვიან, ფეხზეა მთელი რაიონი. როგორც ჩანს, ნოდარ მუმლაძის „თბილისური შეშფოთების" სინდრომი აქ ყველამ გაითავისა. — არ ვიცი, ძმაო, ასეთი შეწუხებული იქ, გუმისთასთან არ ვყოფილვარ. ცარიელი, ლიტონი სიტყვებით კი არა, საქმით უნდა აღვუდგინოთ რწმენა ჩვენს ხალხს, მით უმეტეს, როცა არის ამის საშუალება. ახლა წუწუნს რომ მოვყვეთ, იმდენი მიზეზი გვაქვს თავის გასამართლებლად, რომ სახელმწიფოს მეთაურიც კი საყვედურს ვერ გვეტყვის, მაგრამ ვიჯდეთ და ველოდოთ იმას, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს? ეს არ იქნება!

როგორც ვიცი, ახლა ასევე ირჯებიან ბოლნისელები. ასევე უნდა გაისარჯონ საქართველოს სხვა სამხრეთი რაიონებიც — წალკა, დმანისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი სადაც დღეს ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. უპირველესად კი ის, რომ ამ რაიონებში მოწეული პროდუქცია არ გადიოდეს მეზობელ სომხეთში, და ხმარდებოდეს ჩვენს ხალხს. ამისათვის სასწრაფო ზომებია გასატარებელი.

რაიონში გასულებს, მალე ჩვენი ვიცე-პრემიერი ბატონი ავთანდილ მარგიანიც წამოგვეწია თავისი შტაბის წევრებით, რომ იტყვიან, კარგად გარუჯულები მიდიოდნენ მინდვრიდან.

— თუ შრომაა, შრომა იყოს, თუ ომია — ომი! — ღიმილით მითხრა ბატონმა ავთანდილმა და სიმართლე გითხრათ, ასედაც არის, რადგან ამ რამდენიმე წლის წინ მისი დაუცხრომელი შრომითა და ამაგით აშენებული სოფლები გამახსენდა, გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს რომ ასახლებდა ახალ ადგილსამყოფელზე.

ერთი სიტყვით, შეგვიძლია შრომაც და თანადგომაც, საქმის გულთან ახლოს მიტანაც, თუ მოვინდომეთ!...

უნდა მოვინდომოთ ყველამ, ვისაც გვსურს კაცობითა და შრომით, სიყვარულითა და ძმობით ვიხსნათ, ავაღორძინოთ ჩვენი მამული.

— რაც შეეხება თბილისს და თბილისელთა გასაჭირს, ამასაც მალე მოვევლება — მითხრა გამოთხოვებისას ნოდარ მუმლაძემ, და ისიც დააყოლა — თუ რამეს დაწერ, არ დაგავიწყდეს სულ ორი სიტყვა უთხარი ჩემს თბილისელებს — არ გიღალატებ-თქო!

მართლაც, ულალატო კაცია ნოდარი, და ღმერთმა სულ ასეთ ატაროს!

გია ჭელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა: სტრატეგია და ტაქტიკა

(დასასრული)

ლი; 3. კანონები სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, სავაჭრო ამხანაგობების, კოოპერატივების, გაკოტრების შესახებ; 4. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ; 5. კანონმდებლობა რეალიზაციის, ფრენჩაიზინგის, სავაჭრო წარმომადგენლობისა და მოსაშუალეების სხვადასხვა სახეობის შესახებ; 6. კანონმდებლობა ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების, საფონდო ბირჟების, სადაზღვევო და სავალუტო რეგულირების შესახებ; 7. კანონმდებლობა მიწის, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის შესახებ; 8. კანონმდებლობა კომერციული დავების, სასამართლო რეფორმის, კომერციული დავების გადაწყვეტის და იურიდიული მომსახურებისადმი ხელმისაწვდომის შესახებ; 9. საბაჟო კანონმდებლობა, კანონმდებლობა გადასახადებისა და ტარიფების შესახებ;

გარდა ამისა, საქართველოს მსოფლიო ურთიერთობების ჩართვისათვის საჭიროა: 1. კანონმდებლობა უცხოური ინვესტიციების შესახებ; 2. საერთაშორისო კერძო სამართალი; 3. კანონმდებლობა სავაჭრო ამხანაგობების შესახებ; 4. კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების შესახებ; 5. კანონმდებლობა ტრანსპორტის შესახებ; 6. საბაჟო კანონმდებლობა; 7. კანონმდებლობა სასამართლოს რეფორმის შესახებ.

რა გაკეთდა ამ მხრივ? წინა პარლამენტის დროს ათზე მეტი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული, დროებითი მთავრობის დროს დადგენილებებისა და სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის სახით 50-ზე მეტი, ხოლო ახალი პარლამენტის დროს 40. რატომ? არა იმიტომ, რომ პარლამენტს არ შესწევს კომპეტენცია (ამ აზრს გამოთქვამენ, მაგრამ ჩვენ არ ვამარტივებთ საკითხს), არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკური საკითხების სიმწვავემ არ მისცა პარლამენტს ამის საშუალება. მარტო სამართლებრივი ბაზის შექმნა საკმარისი იქნება ეკონომიკური რეფორმაციისათვის? რა თქმა უნდა, არა, თუ არ დამყარდა მშვიდობა აფხაზეთში და სამოქალაქო თანხმობა ქვეყანაში.

4. **ეკონომიკის** განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ საქართველოში ვერ მოხერხდა ეკონომიკის მართვის ოპტიმალური, იაფი და ეფექტიანი სტრუქტურების ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით დიდია ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ჩავარდნა. საბანკო სისტემა მხარს ვერ უბამს რეფორმებს. უფრო მეტიც, საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ატარებს რესპუბლიკური ბანკი და საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მთავრობის ეკონომიკური პროგრამითაა განსაზღვრული, ურთიერთგამომრიცხველია. ამ საკითხის მოუგვარებლად შეუძლებელია არა თუ რეფორმის გატარება, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, ეს არ არის მარტივი საკითხი. უფრო მეტიც, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედია. პარლამენტს არ შეუძლია ამ საკითხში ნეიტრალიტეტის დაცვა, ან მედიატორის როლის შესრულება. არ არსებობს სამი მხარე: ბანკი, მთავრობა და პარლამენტი. არსებობს ორი პოლიტიკური მიმართულება ეკონომიკაში. პარლამენტმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელს უჭერს მხარს და განსაზღვროს ცალსახად. იყო დამოუკიდებელი ბანკზე, არ ნიშნავს ხელი მოაწერო ქვეყნისათვის არასასურველ შედეგებს.

5. საქართველოს ეკონომიკური გაჭირვება უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური გაჭირვებაა. ეკონომიკურ რეფორმაციას სხვადასხვა პოლიტიკური ძალები პოლიტიკური კაპიტალის მოპოვების თვალსაზრისით უყურებენ და არა ეკონომიკური პრაგმატიზმით. განა რომელიმე ქვეყანაში ვალუტის, ეროვნული ფულის საკითხი ხდება სატელევიზიო დებატების საგანი? მაშინ, როდესაც ოფიციალურ პირთა ერთი გადაკრული სიტყვა უზარმაზარ გავლენას ახდენს თვით დოლარსა და მანეთზე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გავლენას მოახდენს ის ჩვენს ნახევრად ვალუტაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე პოლიტიკა არა მარტო პოლიტიკოსების მეშვეობით ბატონობს, თვით საქართველოს ეკონომიკური კრიზისია პოლიტიკური განვითარების შედეგი. პოლიტიკურმა განვითარებამ გამოიწვია ეკონომიკური კავშირების წყვეტა და კრიზისი. საქართველო, რომელსაც ჯერ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემაც კი არა აქვს, იმუნიტეტის გარეშე აღმოჩნდა მსოფლიო ბაზრის წინაშე.

6. **საქართველოს** ეკონომიკურ მდგომარეობას ართულებს ის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები, როგორიცაა ხორბალი და ენერგომატარებლები, შემოგვაქვს. ართულებს მის მდგომარეობას ისიც, რომ საწარმოო სიმძლავრეების ძირითადი მასა აშენებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ნედლეულის ბაზაზე. იმპორტი რომ აწარმოო, ამისათვის საჭიროა შესაბამისი ექსპორტი, საქართველოს საექსპორტო საქონელზე ფასები ასეულჯერ ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე იმ საქონელზე, რომელიც საქართველოს შემოაქვს, განსაკუთრებით, ენერგომატარებლებზე.

ნათქვამი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოგახსენებთ მხოლოდ საავტომობილო ბენზინის, სადიზელე საწვავისა და საცეცხლე მაზუთის შესახებ. ნორმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საქართველოს სჭირდება 1266 ათასი ტონა ბენზინი, 1000 ათასი ტონა სადიზელე საწვავი, 3000 ათასი ტონა მაზუთი, ანუ — 700 მლნ დოლარი; მთლიანად ნავთობპროდუქტებზე — 800 მლნ დოლარამდე. მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ზემოთ ნახსენებ სამ სახეობაზე (ბენზინი — 660 ათასი ტონა, სადიზელე საწვავი — 600 ათასი ტონა, მაზუთი—2000 ათასი ტონა) საჭიროა 420 მლნ დოლარი, ხოლო მთლიანად 470 მლნ დოლარი. ამას დავუმატოთ ბუნებრივი და თხევადი გაზი, რომელიც ნორმალურ პირობებში საჭიროა 650 მლნ კუბური მეტრი და 30 ათასი ტონა, მინიმალურად 415 მლნ კუბური მეტრი და 15 ათასი ტონა. თანხებში ესაა შესაბამისად — ნორმალური მოხმარების დროს 685 მლნ დოლარი და მინიმალური მოხმარების დროს 480 მლნ დოლარი, ე. ი. მარტო ენერგომატარებლებზე ნორმალური მოხმარების დროს ჩვენ გვჭირდება 1475 მლნ; ხოლო მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის 900 მლნ დოლარი. საქართველოს არ შეუძლია ამ ეტაპზე ასეთი მოხმარების უზრუნველყოფა. ეკონომიკის დარგთაშორისი სპეციფიკა ისეთია, რომ ნებისმიერი დარგი მოიხმარს ენერგიას და განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც შემდეგ განსაზღვრავენ საქართველოს საექსპორტო პოტენციალს. საქართველოს მთავრობის ყოველდღიურობა აღსავსეა ამ საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლით. ბუნებრივია, ძნელია ვიფიქროთ, რომ საქართველოს შეუძლია ამ პრობლემების შიგა რეზერვებით გადაჭრა. საჭიროა უცხოური ინვესტიციები. თუმცა, პერსპექტივაში, ბუნებრივია, საქართველომ უნდა გამონახოს ალტერნატივები და შემცვლელები. ახლაც ხდება. საქართველოში მუშავდება [illegible], ჰიდრორესურსების, ქართული ნახშირის გამოყენების პროგრამები. მომენტი სტრატეგიული მიზნებისა და ტაქტიკური საქციელისა ყოველდღე მოითხოვს გაგებას. უფრო სწორად, საჭიროა ამ საქმის გათავისება.

7. **ტაქტიკური** კორექტირება ეკონომიკის მართვაში ყოველდღიურად ხდება. კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს არ შეუძლია ეკონომიკურ ცხოვრებაში არ შეიტანოს ეროვნული აქცენტები. ყოველდღიურია სამხედრო კონფლიქტებისათვის ეკონომიკის სამობილიზაციო მუშაობა. ომის ეკონომიკის ბიუჯეტში გათვალისწინება შეუძლებელია. შეუძლებელია ამ ხარჯების წინასწარ გათვლა.

8. **მთავრობის** ეკონომიკური პოლიტიკის მაგისტრალური გზის განსაზღვრისათვის, რა თქმა უნდა, ყველა ზემოთ დასახელებულ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა. გლობალურად ეკონომიკის განვითარება წარმოდგენილია ორი სცენარით: ეკონომიკა საომარი კონფლიქტების პირობებში და მშვიდობიანობის დამყარების შემთხვევაში. ამ ორ ვარიანტს ათეულობით სხვადასხვა შესაძლო კომბინაცია აქვს. ერთი, თუ საკუთარ ვალუტას შემოვიღებთ და, მეორე, თუ არ შემოვიღებთ; თუ დავდებთ ეკონომიკურ ხელშეკრულებას რუსეთთან და თუ არ დავდებთ. ამიტომ ასეთი მერყევი ფაქტორების დროს სირთულეები ბუნებრივია. საქართველოს ეკონომიკის მიკროდონეზე მოდელირების სტრატეგია, შეიძლება ითქვას, ეკონომიკაში განსაზღვრულია. საქართველოს დღევანდელი მთავრობის მონდომება და კურსი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის შეუქცევადია. მაგრამ უაღრესად რთულია ეკონომიკური ტაქტიკის შემუშავება ძლიერ მერყევი ეკონომიკური სიტუაციის გამო. მიუხედავად ამისა, საჭიროა ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელება ცალკეულ დარგებში. უნდა ითქვას, რომ გამოუცდელობით, ზოგჯერ კი მენტალიტეტის გამო დარგობრივი პროგრამები შედგენილი არაა. აქ, ალბათ, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ტექნიკური დახმარება. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტმა შეიმუშავა დამოუკიდებელი პროექტები.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე უნდა იქნას აყვანილი ისეთი პროგრამები, როგორიცაა: კოლხეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირების საინვესტიციო პროგრამა, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო კომუნიკაციების (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, საბორნე და თხევადი ტვირთების მილგაყვანილობითი ტრანსპორტირების) მსხვილი საინვესტიციო პროგრამება, საქართველოს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების საინვესტიციო პროგრამა, საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო კომპლექსის შემდგომი საინვესტიციო პროგრამა, საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების, საქართველოს ტელეკომუნიკაციური სისტემების სრულყოფის, საქართველოს რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის განვითარების საინვესტიციო პროგრამები. ცალკე პროგრამებია საჭირო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

ასეთი ცალკეული პროექტები ყველგან უნდა შედგეს, თუნდაც მათ დარგობრივ პროექტებში ჰქონდეთ დიდი მნიშვნელობა.

ყველაზე საშიში მომენტია, თუ ვერ მოვახერხეთ ამ პროგრამების კოორდინაცია. მათ განხორციელებას სჭირდება არა მარტო სამართლებრივი ბაზის შექმნა, არამედ დამატებით ჩვენი სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებაც. საქართველოში მიღებული საკანონმდებლო აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოთხოვნილებებსა და პრიორიტეტებს. სწორედ ამ მიზნითაა გადაწყვეტილი ინდიკატური დაგეგმვის განხორციელება.

ამ გეგმის შიგნით, როგორც საბიუჯეტო განაცხადი, შემუშავდება რეგიონული პროგრამები: ეს იქნება ავტონომიებისა და თითოეული რაიონის განვითარების განმსაზღვრელი პროგრამები.

ჩვენ საერთაშორისო პროგრამებშიც ვღებულობთ მონაწილეობას. თუ შეუძლებელია შენება ქვეყნის შიგნით, პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, როგორც კაპიტალის ქვეყნიდან გაქცევის ალტერნატივა, საჭიროა სამშენებლო მომსახურების ექსპორტი. ამ მიზნით საქართველოს მშენებლები ითვალისწინებენ რუსეთის, თურქეთის, ირანის და თურქმენეთის ბაზრებს.

9. **სად** არის მთავრობის „აქილევსის ქუსლი"? ეს არაა არც კონცეფციები და პროგრამები და არც კომპეტენტურობა. ესაა ქვეყანაში არსებული პირობების გამო დაკონკრეტებული და უცვლელი სამუშაო პროგრამის შექმნა, რაც ობიექტურად შეუძლებელია. ამას ხელს უშლის მთავრობის მუდმივი ცაიტნოტი. ვერ ხერხდება საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა. არაა სრულყოფილი რეგიონული მართვის მექანიზმი. უფრო მეტიც, აქ ვაკუუმიც კი არის შექმნილი. ზოგჯერ, ემოციური გადაწყვეტილებებით, საქვეყნო საქმე ფუჭდება. მაგალითად, პარლამენტმა გააუქმა ადგილობრივი თვითმმართველობის მთავრობის მიერ მიღებული დროებითი დებულება და იქვე არ დაამტკიცა ახალი. შეიძლება? შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობა, ფაქტობრივად ქვეყანა, დარჩეს მარეგულირებელი დოკუმენტების გარეშე? საჭიროა მთავრობისადმი პოზიტიური ოპოზიცია და არა კრიზისში ჩადგომის პოზიცია. ეს აორებს თვით მთავრობის წევრებს, ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს მათს საქმიანობაში. დღევანდელი მინისტრთა კაბინეტის წევრების კომპეტენტურობა მთლიანობაში ეჭვს არ იწვევს, ამასთან თითოეულს შეგნებული აქვს მათ საქმიანობაში სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა, და ამიტომ აგრძელებს მოღვაწეობას, თორემ შეიძლებოდა სხვა შედეგებიც მიგვეღო. აქ ხელის შემშლელია ჩვენი აზროვნების მენტალიტეტი. არ შეიძლება დღევანდელი სიტუაციის მიზეზები დაიყვანო მხოლოდ მთავრობის წევრების [illegible]. რა თქმა უნდა, სუბიექტურ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენი რეალობის გამართლებაც არ შეიძლება, რადგან ეს ხელს შეუშლის სიტუაციიდან გამოსვლას. და საერთოდ, უნდა დავძლიოთ ეკონომიკური აზროვნების არარეფორმისტული განწყობილება ნებისმიერ დონეზე. ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ესაა ხელისუფლების ყველა რგოლის ერთობლივი საზრუნავი. მეჩვენება, რომ ჩვენში ადგილი აქვს ეკონომიკური რეფორმის ფეტიშიზაციას. ეკონომიკური ტრანსფორმაცია გადამწყვეტი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი ნაწილია იმ სისტემური გარდაქმნებისა, რომლებიც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხორციელდება, სისტემური გარდაქმნებისა, რომლებიც გულისხმობს საბჭოთა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული, დირექტიული, გეგმიანი ეკონომიკის გარდაქმნას. ამ გარდაქმნებში კანონის უზენაესობაა განსაზღვრული.

10. **კამათი** ეკონომიკური კურსის შესახებ არ შეიძლება ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების ჩატარებისა და არჩატარების სიბრტყეზე იქნას გადაყვანილი. დღეს არა თუ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ძნელია მოიძებნოს პოსტკომუნისტური სახელმწიფოებისათვის სტრატეგიულად განსხვავებული პოზიციების შემოთავაზება, ვიდრე საქართველოს მთავრობამ გააჩინა. მართალია არსებობს „ნეოსოციალისტური" იდეოლოგიის რეანიმაციის ცდა, მაგრამ, ალბათ, ქართული ნიადაგი ამისათვის არ გამოდგება. ცოტახნის წინათ კამათი შეიძლებოდა ეკონომიკური რეფორმების ტემპების შესახებ, დღეისათვის კი ეს კამათიც მოკლებულია ნიადაგს, რეფორმა — ეტაპობრივი თუ ნახტომისებური, დღეს გუშინდელი დღის გასარკვევი საკითხია. რეფორმა უკვე იქცა რეალურ ცხოვრებად და მოითხოვს სხვა რანგის კითხვებზე პასუხების გაცემას: როგორი იქნება სახელმწიფო საწარმოების რეფორმა? ვინ მიიღებს დივიდენდს სახელმწიფოს სახელით? როდის შეიქმნება ჰოლდინგური კომპანიები? და ა. შ.

11. **სახელმწიფო** საწარმოების რეფორმაციით, მათი აქციონერებით პირველად იქმნება გაპიროვნებული სახელმწიფო საკუთრება. კომერციული ინტერესები არ იქნება უცხო სახელმწიფო კორპორაციებისათვის. ისინი გაერთიანდებიან ჰოლდინგებში. სახელმწიფოს არც ერთი მმართველობითი ორგანო არ ჩაერევა სამეურნეო საქმიანობაში. ისინი შეასრულებენ ზედამხედველის ფუნქციას. სახელმწიფო გამოვა, როგორც ჩვეულებრივი სუბიექტი ეკონომიკაში. კერძო სექტორის დღევანდელი დონე საკმარისი არ იქნება სახელმწიფო სექტორთან საპაექროდ, ამიტომ სახელმწიფო განახორციელებს მეწარმეობისადმი ყოველმხრივი მხარდამჭერის პროგრამას. თუ არა დროის ფაქტორი, ასეთი პროგრამა მიღებული იქნებოდა. უფრო მეტიც, შეიქმნება მცირე ბიზნესის დახმარების ფონდი, სადაც მთავრობა ბიუჯეტურ ხარჯებსაც კი ჩადებს კონკურენტული გარემოს შესაქმნელად. პრივატიზება თავისთავად არაა თვითმიზანი, ის წარმოადგენს სამეურნეო დისბალანსის გამოსწორების საშუალებას. ჩამოყალიბებული მძლავრი სახელმწიფო სექტორი საქართველოში, ალბათ, საკმაოდ დიდხანს იქნება წარმოდგენილი, ოღონდ სხვა პირობებით, თამაშის სხვა წესებით.

12. **ომის** გაგრძელებამ, უმუშევრობის ზრდამ, ეკონომიკური კავშირების დაუმყარებლობამ, ეკონომიკურმა დაცემამ, ამინდმა და სხვა ფაქტორებმა, მათი მოქმედების ხანგრძლივობამ და სიღრმემ, შესაძლოა, აუცილებელი გახადოს ეკონომიკური პოლიტიკის ტაქტიკაში ცვლილებების შეტანა, მაგრამ ის ვერ შეცვლის და საქართველოს მთავრობა არ შეცვლის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიას.

„რომე კაცი თავსა ივნებს,"

ანუ როგორ მარჯვედ ვასამარებთ უფსკრულში გადაჩეხილ ეკონომიკას

საქვეყნო გასაჭირი

რუსულ მანეთს, არაფერი ეშველა, თორემ მიმოქცევიდან კარგა ხანია ამოღებულია სინდისი. თავი აიწყვიტა სიხარბემ და მომხვეჭელობამ, უბადრუკი არსებობისათვის ბევრმა უარი თქვა ყველა ადამიანურ ღირსებაზე.

შედეგი? — ინებეთ! გაძარცული საწარმო-დაწესებულებები, დამტვრეული ვიტრინები, ფილებამძვრალი ტროტუარები, განადგურებული ტრანსპორტი.

ჩვენი ყურადღება სწორედ ტრანსპორტზე გვინდა შევაჩეროთ. სამწუხაროდ, ხშირად აქ იხარჯება თანამემამულეთა უმდიდრესი ფანტაზია.

არ გაქვს ფეხსაცმელი, ძვირია და მის შეძენაში ხელი არ მიგიწვდება? ხელოვნური ტყავის მეტს რას ნახავ ტრანსპორტში. მერე რა, ხვალ თუ შენს შვილს ზამბარებზე მოუწევს ჯდომა, — დღეს მოპარული ტყავით ფეხსაცმელს ხომ შეიკერავ?

ოჯახში ვაგონების მონიკელებული სახელურებიც გამოდგება, მინებიც, — ოღონდ სიფრთხილეა საჭირო, რომ ამოღებისას არ დაიმსხვრეს.

თითქოს აქ დანაშაულის სიღრმე და მასშტაბი ბუნებრივ საზღვრებს არ სცილდება, მაგრამ ძალზე ღრმა და მიუწვდომელია ფანჯრების მლეწავ მგზავრთა სისულელეების არქივი.

ქურდი და ხულიგანი, ანუ ორივე იმ ჯურის პიროვნება, ერთნაირი გულმოდგინებით რომ ჭრის იმ ტოტს, რაზედაც თვითონ არსებითად მოკალათებულა, ამჯერად გვინდა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიგიწვიოთ, რათა ერთი საწარმოს მაგალითითაც დარწმუნდეთ, როგორ აჩანაგებენ ჩვენს ეკონომიკასა და ქვეყანას.

ახლახან 110 წელი შეუსრულდა, მოვლენების სწრაფმა მდინარებამ თან გაიყოლა ქარხნის საამაყო წარსული, გაანელა გარდამავალი დროშებისა და ორდენების მიღებით გამოწვეული სიხარული, მაგრამ საბჭოურ ჯილდოებთან ერთად კოლექტივის ამაგის წყალში ჩაყრა უსამართლობა იქნებოდა.

ცხადზე უცხადესია, იმპერიის გულმოწყალება მუშათა კლასის კეთილსინდისიერ შრომაზე იყო დაფუძნებული, თორემ ტყუილად ჟანგიანი თუნუქის ნაგლეჯსაც არავინ გაიმეტებდა. თბილისში შეკეთებული და განახლებული მატარებლები დაჰქროდნენ რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზის მაგისტრალებზე, ვალში არც პარტნიორები რჩებოდნენ — ქარხანას შეუფერხებლად აწვდიდნენ ხე-ტყეს, საღებავს, შავი და ფერადი ლითონებისა თუ რკინის ნაწარმს, საიზოლაციო მასალებს. ერთი სიტყვით, ადგილობრივს მხოლოდ მიწას, წყალსა და ჰაერს იყენებდნენ ქართველი ვაგონშემკეთებლები. მათი მუხლჩაუხრელი შრომა კეთილ კვალს აჩნევდა როგორც რესპუბლიკის, ასევე თითოეული მათგანის საოჯახო ბიუჯეტსაც.

— ვინც ფრთხილად აბიჯებს, ის შორს წავა, ნათქვამია, არ გავითვალისწინეთ ეს შეგონება და შორს წასვლას ვინ ჩივის, უკანსვლა დავიწყეთ. ხელცარიელი დავრჩით. — ეს იმპერიასთან კავშირგაწყვეტილის ნოსტალგია კი არა, საწარმოს ხვალინდელ დღეზე, მისი ათასკაციანი კოლექტივის ბედ-იღბალზე დაფიქრებული დირექტორის ტარიელ ჯაბაურის წუხილია.

როცა საწარმოს მუშაობის მთელი ციკლი გეგმიან მართვას ეყრდნობოდა, დამკვეთთანაც და მომწოდებელთანაც ურთიერთობა მოწესრიგებული ჰქონდათ. დღეს ყველაფერი მოშლილია. გუშინდელი პარტნიორებისათვის ისინი უკვე უცხოელებად იქცნენ. უცხო ქვეყნებს შორის ურთიერთობა კი შესაბამისი ხელშეკრულებით მტკიცდება, ამიტომ აღარც დაკვეთები აქვთ და მასალების მოწოდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ადრე თუ კილოგრამი რკინა 12-15 კაპიკი უჯდებოდათ, ახლა შოვნაც ჭირთ და 500 მანეთის გადახდაც. კილოგრამ სპილენძის ნაწარმში 90 კაპიკიდან 1 მანეთსა და 50 კაპიკამდე იხდიდნენ, დღეს 4-5 ათას მანეთად თუ იშოვეს, კარგი ბიჭობაა! მძიმე ეკონომიკურ პირობებში არც ძვირად ნაყიდი მასალით მომსახურებაა იოლი საქმე.

დღედაღამეს ასწორებდნენ, თვეში 50 ვაგონს არემონტებდნენ, ახლა ოთხდღიან სამუშაო კვირაზე გადავიდნენ, დროც თავისუფალი აქვთ და... ჯიბეც.

— იმდენს ახერხებს დირექცია, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ. — გაჭირვებას მადლიერების გრძნობა არ ჩაუკლავს მუშაკაცში.

— მთელმა რესპუბლიკამ, მათ შორის ჩვენც, — განაგრძობს დირექტორი, — რუსეთისა და მოძმე რესპუბლიკების სახით დიდი ბაზარი დავკარგეთ. ძველებურად აღარავინ გვეხვეწება, პირიქით, იქით ვეძებთ სამუშაოს. გარდა ამისა, მასალების უქონლობა დიდ სიძნელეებს გვიქმნის დაკვეთების შესრულებაში. მართალია, ჯერჯერობით ძველი კონტაქტების წყალობით რაღაცას ვახერხებთ, მაგრამ მდგომარეობა დღითიდღე რთულდება. მაქსიმალურად ვცდილობთ სამუშაოს შესრულებით მიღებული ფული იმავე ქალაქში საჭირო მასალად ვაქციოთ, როსტოვიდან ამ გზით მხოლოდ მთელი წლის სამყოფი მინა შემოვიტანეთ, (მინის მარაგის შექმნით გულდამშვიდებული დირექტორი რატომღაც ქვასროლიების აქტიურობას არ ითვალისწინებს).

— ბევრმა ქარხანამ თავის გადასარჩენად პროფილი შეიცვალა. ჩვენ კი ამის მორალური უფლება არა გვაქვს. რკინიგზასა და მეტროპოლიტენში მოძრავ შემადგენლობას ვაგონშემკეთებელთა ზრუნვა რომ მოაკლდეს, მისი ხაზზე გაშვება სავალალო შედეგს მოგვცემს. თუმცა, მარტო ჩვენი რკინიგზა და მეტროპოლიტენი ქარხანას მხოლოდ 30 პროცენტით დატვირთავს. ამიტომ საჭიროა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რაც მეტი პროდუქცია შეიქმნება და რესპუბლიკის გარეთ გავა, მით მეტად განმტკიცდება ჩვენი ეკონომიკა. პროდუქციის შექმნის გარეშე ქარხანა ვერ იარსებებს, უმუშევრობა გაიზრდება.

სამწუხაროდ, ზოგიერთები მრუდე გზას ადგანან. წვრილმანი ქურდობით დაიწყეს და მანქანების დატაცებაზე რომ გადავიდნენ, ქარხნის ადმინისტრაცია მაშინ მიუხვდა შენიღბულ ბაცაცებს და შესაბამისი ზომები მიიღო.

— რუსეთს ზურგი შევაქციეთ და საკუთარი ქვეყნიდან მოპარული ხე-ტყე, ფერადი და შავი ლითონები თურქეთში გავზიდეთ. რუსეთმაც გვიგანა და მალე ვეღარ შემოვიტანთ მარაგნაწილებს, სპილენძის ნამზადს, ბორბლების ნაჭედს, ტყავეულს. მთელი რესპუბლიკა რომ მხარში ამოგვიდგეს, საერთაშორისო ბაზრის ფასებს მაინც ვერ მივწვდებით. მასალების უქონლობის გამო კი სრულყოფილად ვეღარ შეკეთდება ვაგონები და ერთადერთი ტრანსპორტი — მეტროპოლიტენი, რომელსაც მგზავრთა გადაყვანის მთელი სიმძიმე აწევს — გაჩერდება, პრობლემების განაჩენს გვაცნობს მთავარი ინჟინერი გურამ რატიანი.

არა მგონია, ჩვენს მიერ ქარხანაში მოწვეულ „საპატიო სტუმრებს" სინდისმა მხილება დაუწყოს, მაგრამ აქაურმა პრობლემებმა იქნებ ერთი სიბრძნე მაინც შეახსენოს: „მტერი კაცსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს".

ლეილა კოშკაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ჩამოვაყალიბოთ ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

21 ივლისს გამართულ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით, განიხილეს რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. შეგახსენებთ, რომ მთავრობა იძულებული გახდა მეორედ დაბრუნებოდა ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვას, რადგან, როგორც მისმა პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა აღიარა, პირველი განხილვისას გამოითქვა ბევრი შენიშვნა და წინადადება, რომლებიც გაითვალისწინეს ამ დოკუმენტის ახალი ვარიანტის მომზადების დროს.

პრეზიდიუმმა მთლიანად მოიწონა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციათა შესაბამისად შემუშავებული ეს პროექტი და გადაწყვიტა წარუდგინოს იგი საქართველოს პარლამენტს. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს სესხების ლიმიტების დამტკიცებას, რომლებიც რესპუბლიკის საბანკო სისტემამ უნდა მისცეს მთავრობას (ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად) და ეკონომიკას ამა წლის 1 ოქტომბრამდე 639 მილიარდი კუპონის ოდენობით, ხოლო მომავალი წლის 1 იანვრამდე — 771 მილიარდი კუპონის ოდენობით, მათ შორის სესხები, რომელსაც ბანკი იძლევა რეფინანსირების გზით, შესაბამისად — 358 მილიარდი და 451 მილიარდი კუპონის ოდენობით. ამასთან, რეფინანსირებული საერთო მოცულობის 10 პროცენტი კრედიტები ეკონომიკისათვის აპირებენ გაყიდონ აუქციონების მეშვეობით. რაც შეეხება ბრუნვაში კუპონების გამოშვების ზღვრულ ნორმას, ამა წლის 1 ოქტომბრისათვის იგი განისაზღვრა 280 მილიარდი კუპონის ოდენობით, ხოლო მომავალი წლის 1 იანვრისათვის — 380 მილიარდი კუპონის ოდენობით. მიზანშეწონილად ცნეს მიიღონ ეროვნული ბანკის წინადადება 100 პროცენტის ოდენობით უნიფიცირებულ საკრედიტო რესურსებზე პროცენტული განაკვეთის დამყარების შესახებ. ეროვნული ბანკიდან რეფინანსირებულ კრედიტებზე ბანკებისათვის მარჟა კი განისაზღვრა ხუთი პროცენტის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე კი, რომლებსაც ფინანსთა სამინისტრო იღებს ეროვნული ბანკიდან, შენარჩუნებულია 1994 წლის 1 იანვრამდე, გამონაკლისის სახით, ერთი პროცენტის ოდენობით.

ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განხილვისას საუბარი, ბუნებრივია, შეეხო საკმაოდ არასახარბიელო ვითარებას, რომელშიც ეროვნული ბანკის კუპონი აღმოჩნდა, მის შესაბამისობას რუსული მანეთისადმი და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აზრთა საფუძვლიანი გაზიარების დროს, რომელშიც, სხვათაშორის, მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილიც, გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მინისტრთა კაბინეტის წევრები მაინც შეთანხმდნენ, რომ ეროვნული ბანკის კუპონი საჭიროა გამოაცხადონ ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ეს უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად. გადაწყდა კიდეც ასეთი წინადადებით წარმდგარიყვნენ იმავე დღეს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე. ერთი სიტყვით, ამ საკითხზე საბოლოო ვერდიქტი, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე, მისი ბიუჯეტის დამტკიცების გამო უნდა გამოიტანოს საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც ეს საკითხები შეიტანა თავისი მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესრულების მიზნით მინისტრთა კაბინეტმა განიხილა და დაამტკიცა მისთვის მხარდამჭერის სამთავრობო პროგრამა, აგრეთვე მისი განხორციელების ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა. შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ შეიმუშაონ და წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადებანი ამ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ. ამავე დროს, გადაწყდა შექმნან საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერის რესპუბლიკური ფონდი.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია 1994 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისათვის მუშაობის ორგანიზაციასთან, განიხილა სხვა აქტუალური საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.

მიზანი—სოციალური დაცვა

ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიში"-ში დღევანდელი ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაცვას. აქ გონივრულადაა ჩამოყალიბებული ეკონომიკური და კომერციული მექანიზმები, რის შედეგად დროის მოთხოვნათა შესაბამისად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც. წლის დასაწყისში კომბინატში საშუალო თვიური ხელფასი თუ 6,9 ათასი მანეთი იყო, ამჟამად 15 ათასი მანეთი შეადგინა.

გამოშვებული პროდუქციის ბარტერულმა გაცვლამ კარგი შედეგი გამოიღო. წლეულს შემოზიდულ იქნა 10 ტონა კარტოფილი და 8 ტონა ხახვი, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს მიეყიდათ შეღავათიან ფასებში. კომბინატში აგრეთვე შემოიტანეს კარაქი, ყველი, პურის ფქვილი და სხვა პროდუქტი...

— კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად არც მომავალში შენელდება ჩვენი ყურადღება, — გვითხრა დირექტორმა ლერი ჯიქიამ. — ბარტერული გაცვლისათვის უკვე გადატვირთულია 40 ტონა შავი ბაიხაის ჩაი, რომლის სანაცვლოდ შემოზიდული იქნება კვების პროდუქტები.

აღსანიშნავია, რომ კომბინატ „ოდიშის" მშრომელები მათზე ზრუნვის საპასუხოდ მთელი მონდომებით ცდილობენ უზრუნველყონ პროგნოზით გათვალისწინებული 3 ათასი ტონა ჩაის დაფასოება, რაც წარმოებას მოგების სახით მისცემს 100 მილიონ მანეთს. ცხადია, რომ ამ მოგების დიდი ნაწილი მუშა-მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.

ოდიკ ქუხილავა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დიდ ყურადღებას უთმობენ რუსეთს

ოთხშაბათს გამართულ ბრიფინგზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ „შვიდეულის" საქმეებში განყოფილების უფროსმა დირექტორმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ამერიკის ადმინისტრაცია ძალზე დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთს, მხარს უჭერენ დემოკრატიზაციისა და რეფორმების პროცესს. მე ძალზე მეამაყება, აღნიშნა მან, რომ როცა ჩვენ თვითონ ეკონომიკურ სიძნელეებს განვიცდით, პრეზიდენტმა კლინტონმა გამოიჩინა პოლიტიკური ვაჟკაცობა, გამოყო ინვესტიციები. რუსეთის მომავლისათვის „ვფიქრობ, რომ რუსეთის კარგი მომავალი ამერიკის კარგი მომავალია. რომ ეს სწორი პოლიტიკაა". ეს განაცხადა გლობალური სატელევიზიო „უორლდნეტის" ქსელით გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლორენს სამერსმა. „დიდ შვიდეულს" სრული უფლება აქვს „მოხიბლული იყოს თავისი დიდი მიღწევით რუსეთისათვის რეფორმების ხელშეწყობაში, რომ დღეს რუსეთი აღარ დგას ინფლაციის ზღვარზე, ხოლო ტოტალიტარიზმის პერსპექტივა მნიშვნელოვანწილად შემცირდა პრივატიზაციის საქმეში უდიდესი მიღწევების მეოხებით. „შვიდეულმა", აღნიშნა სამერსმა, უზარმაზარი იმპულსი შემატა პრივატიზაციას, რომელიც საბოლოო ანგარიშში სიცოცხლისეულად აუცილებელია რუსეთის გარდაქმნისათვის.

გადადგომა გამოაცხადა

იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ კიიჩი მიაძავამ, (რომელსაც ერთდროულად მთავრობის მეთაურის პოსტი უკავია), გადადგომა გამოაცხადა. მან თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ 18 ივლისს გამართულ პარლამენტის ქვედა პალატის საყოველთაო არჩევნებში დიდი მარცხი განიცადა — დეპუტატის მანდატების უბრალო უმრავლესობაც კი ვერ მოიპოვა. მიაძავა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებას დაახლოებით 2 აგვისტომდე გააგრძელებს, როცა უნდა გაიხსნას იაპონიის პარლამენტის სპეციალური სესია, რომელმაც იაპონიის მინისტრთა კაბინეტის ახალი მეთაური უნდა აირჩიოს.

გაიმართება შეხვედრა

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა დაადასტურა, რომ შეუთანხმდა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს გამართონ ახალი შეხვედრა. კერძოდ, ისინი აპირებენ განიხილონ შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზის ქალაქ სევასტოპოლის სტატუსის საკითხი. კრავჩუკმა თქვა, რომ სატელეფონო საუბარში რუსეთის პრეზიდენტთან მათ დეტალურად განიხილეს ეს პრობლემა, მაგრამ იმისათვის, რომ მათი შეხვედრა გაიმართოს, უკრაინისა და რუსეთის მთავრობებს დაევალათ მოამზადონ წინადადებები ახალი რეალობების გათვალისწინებით, რომელიც წარმოიშვა რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც სევასტოპოლზე რუსეთის სუვერენიტეტი ვრცელდება. კრავჩუკმა თქვა, რომ შეხვედრაზე განიხილავენ აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პრობლემას.

ანდრია კოზირევი ტაილანდში

გუშინ, ერთდღიანი ვიზიტით ტაილანდში ჩავიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი. ეს არის რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების მეთაურის პირველი ვიზიტი მალაიზიაში ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიის მთელ მანძილზე. გუშინვე გაიმართა ანდრია კოზირევის მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულა აჰმედ ბედავისთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე. განიხილეს აგრეთვე რეგიონის და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები. გუშინვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სინგაპურს გაემგზავრა, სადაც იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ასიანი) საგარეო საქმეთა მინისტრების 26-ე შეხვედრა. რუსეთმა ამ ორგანიზაციის სტუმრის სტატუსი 1991 წელს მიიღო.

„რუსეთი აფხაზურ მახეში"

ასეა დასათაურებული ფრანგული გაზეთ „კრუას" მოსკოველი კორესპონდენტის მაქსიმე იუსინის სტატია. იგი წერს, რომ მოსკოვის მიერ შეთავაზებული საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედების შეწყვეტის გეგმა ორივე მხარემ უარყო. ოფიციალური რუსეთი უარყოფს თავის მონაწილეობას კონფლიქტში, წერს იუსინი, მაგრამ აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ შეიძლება შექმნას საშიში პრეცედენტი რუსეთის ფედერაციისათვის, რომლის შემადგენლობაში ოცამდე ავტონომიური რესპუბლიკაა, რომელთაგან ზოგიერთი მოითხოვს დამოუკიდებლობას მოსკოვისაგან. ამავე დროს რუსეთში არსებობს კავკასიის მოვლენათა სხვადასხვაგვარი შეფასება. გაზეთს მოჰყავს ერთ-ერთი რუსი დიპლომატის აზრი. იგი თბილისის პოზიციის მომხრეა, რადგან, როგორც თავად ამბობს, „საქართველო რუსეთის ერთადერთი მოკავშირეა კავკასიაში ნაციონალიზმის, სეპარატიზმისა და ისლამიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში,... „ანტიქართულ ბანაკში" კი არის რუსეთის ბევრი პოტენციური მოწინააღმდეგე". ამავე დროს რუსეთის პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც უარს ამბობენ მოახდინონ საქართველოსთან მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია, ისევე როგორც მთელი რიგი სამხედრო ხელმძღვანელები რუსეთის თავდაცვის სამინისტროში, უფრო აფხაზეთის მხარდაჭერისაკენ იხრებიან. რუსეთის პრეზიდენტს ზომიერი პოზიცია უკავია, აღნიშნულია სტატიაში, მაგრამ მას უჭირს გაუძლოს სამხედრო-სამრეწველო ლობის ზეგავლენას, რადგან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი იღებს მილიარდიან მოგებას ორივე დაპირისპირებული მხარისათვის იარაღის მიყიდვის მეშვეობით.

სახელმწიფო მდივნის მოგზაურობა

გუშინ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა დაიწყო მრავალდღიანი მოგზაურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ასიანი) ქვეყნებში. იგი ეწვევა აგრეთვე ავსტრალიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. გამგზავრების წინ ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა მისი ქვეყნის ერთგულება ახალი წყნარი ოკეანის გაერთიანებისადმი. მისი საფუძველი, თქვა მან, უნდა შექმნას ღია ეკონომიკამ და თავისუფალმა ვაჭრობამ, ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონში ყოფნის შენარჩუნებამ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მხარდაჭერამ. კრისტოფერის მოგზაურობის ბოლო ეტაპი ახლო აღმოსავლეთი იქნება.

ერაყს კვლავ ეწვევიან

რამდენიმე დღეში გაეროს ექსპერტები კვლავ ერაყში გაემგზავრებიან რათა ორ რაკეტულ პოლიგონზე (ბაღდადის მახლობლად) განალაგონ და ჩართონ ვიდეოკამერების დანადგარები. ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობით ერაყის განიარაღების საკითხებში, გაეროს კომისია, რომელსაც როლფ ეკეუსი ხელმძღვანელობს, წარმოადგენს ერაყის ხელისუფლებასთან შეთანხმებულ პროექტს. ერაყმა სისტემატურად უნდა შეატყობინოს გაეროს ექსპერტებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მიმდინარეობა, შეუფერხებლად დაუშვას სათანადო ობიექტებზე გაეროს ექსპერტები.

ჰუმანური დახმარების მიზნით

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ კოფი ანანმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ სომალში გაეროს სამშვიდობო ძალების მისია მხოლოდ ჰუმანური ხასიათისაა. ეს მან უთხრა გაეროს შტაბბინაში იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა სამხედრო-მოსამსახურეები სომალში გაეროს სამშვიდობო ძალებში შედიან. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, იტალია აკრიტიკებს გაეროს სამშვიდობო ძალების სარდლობას აფრიკის ამ ქვეყანაში იმის გამო, რომ იგი თითქოს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლას. კოფი ანანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრიორიტეტულია ჰუმანური მიზნები. მაგრამ გაეროს შეიარაღებული ძალები გააგრძელებენ სომალში ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი, მეომარი დაჯგუფებების განიარაღებას. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, თუ ჰუმანური დახმარების მოცულობა ჯერჯერობით 160 მილიონ დოლარს აღწევს, სამხედრო ოპერაციების ხარჯებმა ამ თანხას 20-ჯერ გადააჭარბა.

გამართავენ საგანგებო თათბირს

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი) 28 ივლისს ვენაში გამართავს საგანგებო თათბირს, განიხილავენ მსოფლიოს ნავთობის ბაზრებზე მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ფასების შემდგომი დაცემის შეკავების ღონისძიებებს. უკანასკნელ დღეებში ნედლი ნავთობის ფასი 1990 წლის ივნისიდან პირველად გახდა 16 დოლარზე ნაკლები ბარელში (1 ბარელი უდრის 159 ლიტრს). ნავთობის საერთაშორისო კარტელის წევრებს მიაჩნიათ, რომ მაღალი ფასია ბარელში არანაკლები 21 დოლარი. ექსპერტების აზრით „შავ ოქროზე ფასების ესოდენ მკვეთრი დაცემა ეს არის ოპეკის, ზოგიერთი წევრის მიერ ნავთობის მოპოვებაზე დადგენილი კვოტების დარღვევა და ერაყისათვის დაწესებული ნავთობის ექსპორტზე საერთაშორისო აკრძალვის გაუქმების შესაძლებლობა. თუ გაერომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, ბაღდადს შეეძლება დამატებით გაიტანოს ისედაც გადატვირთულ ნავთობის ბაზარზე 600 ათასი ბარელი. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ცნობით „შავი ოქროს" გადაჭარბებულმა წარმოებამ ოპეკის წევრების მხრივ შეადგინა ივნისში 700 ათასი ბარელი დღეში. პესიმისტურად განწყობილი სპეციალისტების აზრით, თუ კარტელის მონაწილეებმა ვერ შეძლეს შეიმუშაონ ეფექტური სტრატეგია მსოფლიოს ნავთობის ბაზრებზე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, მაშინ ნდობა ამ ორგანიზაციისადმი დაიკარგება და ნედლ ნავთობზე ფასები კატასტროფულ დონემდე დაეცემა — 10 დოლარამდე ბარელში.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია-93

სოხუმი. („იბერია" —„ნევა"). საერთაშორისო ურთიერთობათა და ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის სოხუმის განყოფილების წარმომადგენლის გია ფორჩხუას ცნობით, 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 21 ივლისამდე ქალაქ სოხუმში დაბომბვის შედეგად დაიღუპა 309 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 82 რუსი ეროვნების, 64 ადამიანი — სხვა ეროვნებისა (ბერძნები, სომხები და სხვა), აფხაზები — 23 ადამიანი, 140 ქართველი. დაჭრილია 894 ადამიანი. მთლიანად და ნაწილობრივ დაინგრა 1578 სახლი, 23 სამედიცინო დაწესებულება, 8 კულტურული ცენტრი, (სკოლები, ინსტიტუტები და სხვა).

1993 წლის იანვრიდან რეგისტრაციაში გატარებულია 9000 ლტოლვილი.

თბილისი. „იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის ქალთა საბჭოდან აცნობეს, რომ საბჭომ მესამე ხარისხის წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა 23 [illegible] ბრიგადის სანიტარიული ინსტრუქტორი, მედდა მადონა ცაავა, რომელიც ომის პირველივე დღეებიდანვე პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

თბილისი. „იბერიას" ცნობით, საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა, მოადგილემ ზ. კვაჭაძემ, ისნისა და საბურთალოს რაიონების ქალთა საბჭოების თავმჯდომარეებმა ამ დღეებში მოინახულეს რესპუბლიკის ჰოსპიტალსა და ქალაქის № 1 საავადმყოფოში მოთავსებული დაჭრილები, რომელთა შორის არიან მედდა ლია ვაშაკიძე და 16 წლის სოხუმელი დიმიტრი პოლტავეცი. მათ დაჭრილებს გადასცეს თეთრეული, ხილი, ბოსტნეული, აგრეთვე გაუწიეს [illegible] დახმარება.

მაიკოპი. („იბერია"-„ნევა"). 20 ივლისს მაიკოპში გაიხსნა ჩერქეზთა მეორე საყოველთაო კონგრესი. მისი ინიციატორი იყო ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ადიღეს, ყაბარდოს, ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლებს, ამავე დროს თითქმის სამ მილიონამდე საზღვარგარეთის დიასპორის წარმომადგენელს.

კონგრესის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ასლამ ჯარიმოვი, ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი [illegible] და სხვები.

ჩერქეზთა კონგრესის მთავარი [illegible] ადიღეს და აფხაზთა [illegible] და ალორძინების პრობლემები, საერთო ჩერქეზული ანბანის შექმნა, აფხაზეთში ომის დამთავრება.

კონგრესი გაგრძელდება 25 ივლისამდე.

ვილნიუსი. („იბერია"-„ნევა"). 21 ივლისს, რუსეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოახდინოს ესტონეთთან და ლატვიასთან 1920 წლის მოლაპარაკების დენონსირება, ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს მშვიდობიანი ხელშეკრულებები წარმოადგენს ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა სამართლებრივ საფუძველს და ბალტიის რეგიონის ქვეყნებისთვის მათ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ბაქო. („იბერია"-„ხაბარ-სერვისი"). პრეზიდენტის აპარატში შედგა აზერბაიჯანის სახელმწიფო მდივნის ლალი გაჯიევის შეხვედრა აშშ-ს ელჩთან, რიჩარდ მაილსთან. შეხვედრის დროს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა გაღრმავების საკითხებთან ერთად განიხილეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარების საკითხები. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ სომხეთიდან ერთმხრივი ინფორმაციის მიწოდების შედეგად ამერიკელ ხალხს არასწორი აზრი შეექმნა აზერბაიჯანზე და თხოვნით მიმართა ელჩს, რათა მან ყველაფერი გააკეთოს საინფორმაციო ბლოკადის გარღვევისათვის.

ბაქო. („იბერია"-„ხაბარ-სერვისი"). თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია — აზერბაიჯანში ბოლო დროს მომხდარი მოვლენები, ამასთან ერთად, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ისა გამბაროვისა და რესპუბლიკის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა დაპატიმრება იწვევს სერიოზულ შეშფოთებას. თურქეთი უსურვებს აზერბაიჯანის რესპუბლიკას წარმატებებს, დემოკრატიის განვითარებაში კანონიერების პრინციპების პატივისცემას და მოუწოდებს ეროვნულ ერთობა და თანხმობა რესპუბლიკაში. მხოლოდ ამ პრინციპების დაცვის შედეგად შეუძლია აზერბაიჯანს გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი.

მისაღები გამოცდები დაიწყო

ამა, გასრულდა მოლოდინით აღსავსე დღეები, ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები დიდ სამსჯავროზე წარსდგნენ — რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო მისაღები გამოცდები. საქართველო ამჟამად მრავალი პრობლემის წინაშე დგას და მათ შორის ერთ-ერთი არსებითი კადრების პრობლემაა. აქედან გამომდინარე, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წლევანდელ მისაღებ გამოცდებს. მხოლოდ ღირსეული უნდა გახდეს სტუდენტი. მხოლოდ ღირსეულთ უნდა მივანდოთ მომავლის საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძლიერების შენების საქმე.

სურათზე: მისაღები გამოცდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში.

ჯუჭარ ლომაძის ფოტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

საქართველოს ჰუმანიტარულ-სახელოვნებო აკადემია

აგრძელებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის, რომელთაც სურვილი აქვთ დაეუფლონ შემდეგ სპეციალობებს:

ა) ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე:

1. სახვით ხელოვნებათმცოდნეობა;
2. მუსიკისმცოდნეობა;
3. კინომცოდნეობა;
4. თეატრმცოდნეობა;
5. მუზეუმმცოდნეობა;
6. საგუნდო-სადირიჟორო.

ბ) ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე:

1. ჟურნალისტიკა;
2. ქართული ლიტერატურა და ისტორია.

აკადემიაში სწავლის ვადა 5 წელია. სწავლების მაღალი, თანამედროვე დონის გარანტიაა უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ლექციებს წაიკითხავენ აგრეთვე საზღვარგარეთელი სპეციალისტები. სწავლის ორიგინალური, არასტანდარტული მოდელით კი, აკადემია ნამდვილად პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია.

აკადემიაში სწავლა ფასიანია. გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის გათვალისწინებულია შეღავათი 30%-ით.

სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტები სტაჟირებისათვის გაიგზავნებიან საზღვარგარეთ.

აკადემიაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო, საშუალო-სპეციალური ან უმაღლესი განათლების მოწმობა, დიპლომი (დედანი);
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 6 ფოტოსურათი (3X4);
5. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის სამეურნეო ხარჯების ღირებულებას.

აბიტურიენტები აკადემიაში ჩაირიცხებიან გასაუბრების შემდეგ.

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა შაბათისა და კვირადღისა) 1993 წლის 1 ივლისიდან 10-დან 16 საათამდე საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია პეგასში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №55, მე-3 სართული (ვაკის სასაფლაოსთან მდებარე ტროლეიბუსის გაჩერებასთან)

ტელეფონები: 29-35-36, 29-35-25 (10-დან 16 საათამდე).

კონკურსი დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

დ. უზნაძის სახელობის პრემია, 25 000 მანეთის ოდენობით, მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის ფსიქოლოგიის დარგში.

პრემია მიენიჭება აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის დაბადების დღეს — 20 დეკემბერს.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული ნაშრომები.

ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

წარმოდგენილ ნაშრომს თან უნდა ახლდეს:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის.
2. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად.
3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, სამუშაოს ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი).
4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონდა მინიჭებული სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

თბილისის „ბიოლოგიური მედიცინისა და ეკოლოგიის" ინსტიტუტი

აცხადებს 1993-94 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ექიმი-ბიოქიმიკოსი
2. ეკოლოგი
3. ნადირობისმცოდნე

სწავლა ფასიანია. სწავლების ვადა 4 წელია. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქიმია (ზეპირი); ბიოლოგია (ზეპირი). გამოცდებზე დასაშვებად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს 1. განცხადება რექტორის სახელზე, 2. საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატი, 3. 4 ფოტოსურათი 3X4 და პასპორტი.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე ყოველდღე 10-დან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 16-20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქუჩა 3, სამრეწველო კოლეჯის შენობა. ტელ: 31-21-76, 30-15-20.



გზა დაგილოცოთ!

27 ივლისს ესპანეთს მიემგზავრებიან საქართველოს ჭაბუკი მოჭადრაკეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 1979-80 წლებში დაბადებულთა პირად-გუნდურ საერთაშორისო ფესტივალში. წარმოგიდგენთ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ წევრს — ალეკო ედიშერაშვილს (მისი თანაგუნდელები — გიორგი ბაბუაძე, სერგო მოვსესიანი და მიხეილ მჭედლიშვილი შეხვედრის დროს თბილისში არ იმყოფებოდნენ).

ალეკო დაიბადა 1979 წლის 31 მარტს, არის დედაქალაქის 174-ე საშუალო სკოლის IX კლასის ფრიადოსანი მოსწავლე, გახლავთ ოსტატობის კანდიდატი. ჭადრაკს დაუმეგობრდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში 6 წლის ასაკიდან მწვრთნელების — ვალიკო ურიდიასა და დავით პაქსაშვილის ხელმძღვანელობით. ამჟამად პერსპექტიული ყმაწვილი ოსტატობას ჭადრაკის სასახლეში იმაღლებს ამაგდარი სპეციალისტის — ოთარ თურქესტანიშვილის ჯგუფში.

ახლახან ჭაბუკთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ რესპუბლიკურ ტურნირზე, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა, ალეკოს მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდა ერთ-ერთი საგზურის დასაუფლებლად.

ა. ედიშერაშვილის შეუპოვრობა კარგად გამოვლინდა ოტარ ჩიბუხჩიანთან ამას წინათ შემდგარ დამატებით მატჩში, რომლის მოწყობაც საჭირო გახდა ესპანეთში გასამგზავრებლად (შესარჩევი ასპარეზობა ორივემ თანაბარი ქულებით დაასრულეს), გადამწყვეტი ასპარეზობა ალეკომ თავის სასარგებლოდ ვადაზე ადრე დაამთავრა — 2,5:0,5.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მზარდი ოსტატობის კანდიდატი „კავკასიის ბანკთან" ახლადშექმნილ პროფესიულ კლუბში ჩარიცხეს. დავძენთ, რომ სწორედ „კავკასიის ბანკის" სპონსორობით მიემგზავრებიან ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები ესპანეთში.

გზა დაულოცოთ საქართველოს წარგზავნილებს საერთაშორისო სარბიელზე!

გია პლატონიშვილი.

სურათზე: 14 წლის ოსტატობის კანდიდატი ალეკო ედიშერაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

„დინამოს" პრესკონფერენცია

22 ივლისს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამოს" გუნდის ხელმძღვანელებმა ფრანგულ ტურნესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს.

„დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა გივი ნოდიამ ვრცლად ისაუბრა გუნდის მიერ საფრანგეთში ჩატარებული მატჩების ირგვლივ.

ფრანგული ტურნე „დინამოსთვის" ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო ევროპული ტურნირის დაწყების წინ. ამჟამად არის მოსაზრება, რომ „დინამომ" შეკრება პოლონეთში ან გერმანიაში ჩაატაროს. ჟურნალისტების არაერთ შეკითხვას უპასუხა გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა ვაჟა ჟვანიამ.

საქართველოს ჩემპიონმა საფრანგეთში გამართა ხუთი შეხვედრა: 10 ივლისი — „რენი" 1:2 (სტუმართაგან გატანილი ბურთი ეკუთვნის შ. არველაძეს), 11 ივლისი — „ბრესტი" 1:0 (ა. არველაძე), 14 ივლისი — „სოშო" 1:2 (რ. არველაძე), 17 ივლისი — „ბულონი" 0:2 და 18 ივლისი — „ნანსი" 2:2 (რ. და შ. არველაძეები).

ზაზა ყურაშვილი.

„არა მარტო ნიჭიერი," არამედ „ნიჭიერი და განათლებული"

ეს ფოტოსურათი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია. სურათზე აღბეჭდილი ყმაწვილები კი ნორჩ ფიზიკოსთა VI საერთაშორისო ტურნირის პირველი ხარისხის დიპლომანტები არიან, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა, როგორც საქართველოს დამოუკიდებელმა გუნდმა, ასეთ პრესტიჟულ ტურნირში.

ტურნირი 18-25 ივნისს ჩატარდა მოსკოვში და მასში რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ქ. მოსკოვის, უზბეკეთის, ჰოლანდიის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკიის 18 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.

საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტიდან მოწვევის შემდეგ, რესპუბლიკური ოლიმპიადების შედეგების გათვალისწინებით, შეიქმნა ნაკრები გუნდი, რომელიც ეტაპობრივად, საკონკურსო შერჩევით ძირითადად დაკომპლექტდა ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური № 42 სკოლის (დირექტორი გურამ დევდარიანი) და რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური № 25 სკოლის (დირექტორი ლევან იანოვსკი) X-XI კლასების მოსწავლეებით. აი, ისინიც: გიორგი მამალაძე, ირაკლი სიხარულიძე, ალექსანდრე სამბულაშვილი, გიორგი იმნაძე, ნატაშა ბონდირევა და ნიკა პაპაიანიდი.

მოსწავლე ახალგაზრდობის სამეცნიერო ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკურმა ცენტრმა (დირექტორი მერაბ სანიკიძე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელმა თენგიზ ბიბილაშვილმა და ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ვლადიმერ პაპერმანმა დღევანდელი, უჩვეულო, რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად ყველაფერი გააკეთეს ნიჭიერი, უნარიანი და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული გუნდის მოსამზადებლად. საორგანიზაციო ხარჯები და სპონსორობა ითავა აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდმა (ვიცე-პრეზიდენტი სოლიკო ხაბეიშვილი), ნაწილობრივი ფინანსური დახმარება გუნდს აღმოუჩინა ფირმა „იკი"-მ (პრეზიდენტი იოსებ კიკნაველიძე).

ნორჩ ფიზიკოსთა ანალოგიური, VII საერთაშორისო ტურნირი მომავალ წელს გაიმართება ჰოლანდიაში, სადაც საქართველოს გუნდმა, როგორც გამარჯვებულმა, უკვე მიიღო მიწვევა. ტურნირთან დაკავშირებულ ხარჯებს მთლიანად აანაზღაურებს მასპინძელი ქვეყანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გამარჯვებულ მოსწავლეებს შესთავაზა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვა, სტიპენდია და ბინა. ორმა ჩვენმა მოსწავლემ უკვე გამოიყენა ეს უფლება.

ტურნირში გამარჯვებულ მოსწავლეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო და პირველი ხარისხის დიპლომები გადასცა განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, მან აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლები თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული ასეთი კატეგორიის მოსწავლეებით. მათთვის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ სპეციალობაზე მწვანე გზა უნდა იყოს გახსნილი. მისაღებ გამოცდებზე შემთხვევითობის ფაქტორის გამოსარიცხავად თითოეულ მათგანს უფლება ეძლევა უგამოცდოდ ჩაირიცხოს არჩეულ სპეციალობაზე.

ეს შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა მოსწავლეებმა გზა დაულოცეს თავიანთ თანატოლებს, რომლებიც 13-24 ივლისს მონაწილეობას მიიღებენ თურქეთში, ქ. სტამბოლში გამართულ ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაში. საქართველოს გუნდს სპონსორობას გაუწევს თურქეთის ფირმა „ჩალლარის" პრეზიდენტი ბატონი ჰაიათ ქუჩუკი.

საერთაშორისო ტურნირებსა და ოლიმპიადებზე ჩვენი ახალგაზრდობის მონაწილეობა, ჯერ ერთი, წარმოაჩენს ქართულ მეცნიერებას, განათლებას, კულტურას და ისტორიას, და კიდევ — ეს არის ადგილი, სადაც ყველას შეუძლია პრაქტიკულად გამოიყენოს და განამტკიცოს საკუთარი ცოდნა.

იზო ჯინჭარაძე,
განათლების სამინისტროს პრესცენტრი.

• • •

სურათზე: გამარჯვებულებს დიპლომებს გადასცემენ.
ბ. ხანაიას ფოტო.



ქუთაისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის ეკონომიკური, ჰუმანიტარული და იურიდიული ფაკულტეტების დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე

ეკონომიკური ფაკულტეტი

1. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები
2. საბანკო საქმე და ფინანსები
3. საბირჟო საქმიანობა
4. წარმოების ეკონომიკა და მართვა (მენეჯმენტი)
5. ვაჭრობის ორგანიზაცია და კომერციული საქმიანობა მარკეტინგი)
6. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა.
7. ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა.
8. ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

1. ინგლისური ენა და ლიტერატურა
2. გერმანული ენა და ლიტერატურა
3. ფრანგული ენა და ლიტერატურა

იურიდიული ფაკულტეტი

1. სამართალმცოდნეობა

ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ტარდება წერითი გასაუბრების წესით. გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად. უმაღლესი განათლების მქონე პირები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ მე-2 კურსზე.

წერითი გასაუბრება ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ეკონომიკურ ფაკულტეტზე: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა.

ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე: უცხო ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია.

იურიდიულ ფაკულტეტზე: სამართალმცოდნეობის საფუძვლები, ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო სისტემით დადგენილი წესების შესაბამისად.

სწავლების ხანგრძლივობა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 4 წელი. იურიდიულ ფაკულტეტზე 5 წელი.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.

სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირთა მიერ გადარიცხვის წესით ან ინდივიდუალურად ნაღდი ანგარიშსწორებით.

ინსტიტუტში შემსვლელები განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ შემდეგ საბუთებს:

1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 286უ)
3. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 3x4)

პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 1000 მან.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 28 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-16 საათამდე.

წერითი გასაუბრება ჩატარდება 30 ივლისიდან.

ჩარიცხვები დამთავრდება 15 აგვისტოს.

ღია კარის დღე ჩატარდება 26ივლისს.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, ივ. მარდალეიშვილის ქ. 71, მე-7 საშუალო სკოლის შენობა. ტელ: 6-41-83.

ხსოვნა

მამუკა აბესაძე

მეხის გავარდნას ჰგავდა შენი დაღუპვა ჩვენო მამუკა. წინა დღით სოხუმიდან მოქმედი არმიიდან უვნებლად დაბრუნებულს ტყვიამ ქ. მარნეულში მოგისწრაფა სიცოცხლე.

ვინ იცის რამდენი ოცნება და ჩანაფიქრი დაგრჩა განუხორციელებელი.

როგორ ვანუგეშოთ შენი გაუბედურებული დედა, მოხუცი ბებია, შენი ფრთამოტეხილი ძმა.

კაცურად გალიე შენი ხანმოკლე სიცოცხლე — 27 წელი, უსაზღვრო სევდა და წუხილი დაგვიტოვე და თან წაიყოლე შენი სათუთი გრძნობა და აუხდენელი ოცნება — ოჯახის შექმნა.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი სამშობლოს მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო მამუკა.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ეთერ ჰიჰინაძეს ძმის — **ლერი ჰიჰინაძის** გარდაცვალების გამო.

ორგანიზაცია აწარმოებს
რუსეთიდან საქართველოში თანხების
გადმორიცხვას
საქართველოში ყველაზე მაღალი
300-დან 400
პროცენტამდე დანაგატით

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონია:
95 56 59 (10-18 სთ-მდე).

თბილისის კინოვიდეო ბიზნესის კოლეჯი

აცხადებს მიღებას
9-11 კლასდამთავრებულთათვის
ქართული და რუსული განყოფილებების
დღისა და საღამოს სწავლების
შემდეგ სპეციალობებზე:

1. კინომოწყობილობათა და ვიდეოტექნიკის ექსპლუატაცია;
2. კინოწარმოების ეკონომიკა და მართვა;
3. კინო-ვიდეოქსელისა და კინოვიდეოგაქირავების ეკონომიკა და მართვა;
4. კინოფესტივალების, კინობაზრობების და რეკლამის ორგანიზაცია;
5. კომერციული საქმიანობა;
6. საბუღალტრო აღრიცხვა ბიზნესის სფეროში.

სწავლის ხანგრძლივობა 9 კლასდამთავრებულთათვის 3 წელია, 11 კლასდამთავრებულთათვის და სხვა სასწავლებლებიდან გადმოსულ პირთათვის ასაკის მიუხედავად 2 წელია.

სწავლა ფასიანია, ჩარიცხვა-გასაუბრების შედეგად.

საბუთების მიღება — 12 ივლისიდან, ყოველდღე, 11-დან 16 საათამდე.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 164, ძველი კინოსტუდია, კინომსახიობთა თეატრის შენობაში.

ტელ: 34-07-86.

LGV

ფირმა «ლგვ» გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს, მინიმალური რაოდენობა 10 კგ.

1. წებო გერმეტიკი — გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების გერმეტიზაციისათვის.

2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.

3. ფირმა «ლგვ» ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ. 27
ტელეფონი: 37-15-40, 37-42-10, 39-32-37.
ფაქსი: 37-42-04.

აჭარის ჟურნალისტთა კავშირში

გაიმართა აჭარის ჟურნალისტთა ყრილობა, ანგარიშით ჟურნალისტთა კავშირის მუშაობის შესახებ გამოვიდა კავშირის თავმჯდომარე **არჩილ მიქელთაძე.**

პრესიდან წასვლასთან დაკავშირებით, არჩილ მიქელთაძემ შეკრებილთ სთხოვა კავშირის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლება. ყრილობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და მადლობაც გადაუხადა ხანგრძლივი მუშაობისათვის.

ჟურნალისტთა ყრილობამ ღია კენჭისყრით აირჩია აჭარის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ—გაზეთ „აჭარის" რედაქტორი **ალექსანდრე სამსონია**, აგრეთვე გამგეობისა და პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე **აკაკი სიხარულიძე.**

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 1993 წლის 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილ თენგიზ პაჭკორიას წერილში — „**ეხმარებიან თანამემამულე ლტოლვილებს**" საქციო საზოგადოება „ტესმოდონის" პრეზიდენტი **ლავრიკ კაკუჩაია** შეცდომით მოხსენიებულია კაკულიად.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 60484